პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 16 ნოემბერი 2004 №267 (2288) ფასი 50 თეთრი






# ჟირესი 1:0 ოლსენი

## ეს იყო იმ საუკუნეში. რა იქნება ხვალ?



დანიის ნაკრები თბილისშია — მწვრთნელებით, 20 ფეხბურთელით, ბევრი ჟურნალისტით და კიდევ უფრო ბევრი სხვა თანმხლებით.

გუშინ ნაშუადღევს კოპენჰაგენიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრენილმა ჩვენი ნაკრების სახვალიო მეტოქემ სასტუმრო „მარიოტში“ ერთი-ორი საათით დაისვენა და სავარჯიშოდ „ლოკომოტივის“ სტადიონს მიაშურა. მიაშურა და რა ნახა? ნახა ის, რომ ვერაფერი ნახა...



# მორტენ ოლსენი თბილისში ძნელი სამი ქულისთვის ჩამოვიდა

სტუმრები მოედანზე სავარჯიშოდ გავიდნენ და იქაურობაც ჩაბნელდა. შუქი ჩაქრა, წკვარამი ჩამოწვა. ეს უკვე მერამდენედ?! „ლოკომოტივი“ ორ-სამ წუთში კი განათდა, მაგრამ რაც იმ ორ-სამ წუთში დანიელებმა ინერვიულეს, მტრისას. მერე, როგორც სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ გვითხრა, თურმე მთელი ქალაქი ჩაბნელებულა, სტადიონზე კი გენერატორებს აამუშავეს. ამჯერად უშუქობის პრობლემა გაურთულებლად მოგვარდა და მეტოქეც საქმეს შეუდგა. თუმც იქამდე ფეხბურთელებმა და მწვრთნელმა რამდენიმე წუთი ჟურნალისტებს დაგვითმეს. ბუნებრივია, ამ საქმეშიც ყველაზე დასაქმებული დანიელთა მწვრთნელი მორტენ ოლსენი იყო. ის ხან ქართველებს ესაუბრებოდა, ხანაც თვისტომებს, ჰოდა, აგერ მისი ნაუბარი.

— საქართველოს ნაკრებზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მაქვს. ამ შესარჩევ ციკლში ჩატარებული მეტოქის სამივე მატჩის ფირი ვნახე და დავრწმუნდი, რომ სერიოზულ გუნდთან გველის მატჩი. საქართველოს ნაკრებზე წარმოდგენა ადრეც მქონდა. თუმც ახლა ქართველები სხვანაირ, უფრო გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. მეტოქეს მწვრთნელიც მცოდნე ჰყავს. ალენ ჟირესს რამდენჯერმე კი შევხვედრივარ, მაგრამ მეტოქეების რანგში ოთხშაბათს პირველი ნაცნობობა გვექნება.

...თბილისში სამი ქულისთვის ჩამოვედით და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ, მაგრამ ვიცი, ეს იოლი არ იქნება.

...ჰელვეგი დისკვალიფიცირებულია და საქართველოს ნაკრებთან გუნდს იონ დალ ტომასონი უკაპიტნებს.

...ჰელვეგის გარდა გრონკიაერიც დაგვაკლდება, თუმც ეს ჩემთვის სერიოზული პრობლემა არაა. მათი ღირსეული შემცვლელები გვყავს და ეს მატჩისას გამოჩნდება. შესაძლოა, გრონკიაერის ნაცვლად ფლანგზე რომედალი ვათამაშო.

...ქართველებიდან ყველაზე კარგად შოთა არველაძეს ვიცნობ. რამდენიმე წელი ის „აიაქსში“ ჩემი შეგირდი იყო, მის ძმას, რეზოს კი „კიოლნიდან“ ვიცნობ. არაჩვეულებრივი პიროვნებები არიან. შოთა არველაძე უმაღლესი დონის ფეხბურთელია და ვისურვებდი, შოთასნაირი თავდამსხმელი დანიის ნაკრებშიც მყავდეს...

ვარჯიშის დროს ოლსენი პედანტი, მკაცრი მწვრთნელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სასტვენს არ იყენებდა, პირში თითების ჩაუდებლად უსტვენდა და „ფიშკებსაც“ თვითონ ალაგებდა.

დანიის ნაკრებს სამშობლოდან 26 ჟურნალისტი ჩამოჰყვა. რამდენიმე მათგანს გამოველაპარაკეთ და ყველამ ის გვითხრა, დანია 4-3-3 სქემით ითამაშებს, იონ დალ ტომასონი კი გამოკვეთილი ფორვარდი იქნებაო.



## ორი ინტერვიუ ვარჯიშის მერე

*კრისტიან პოულსენი:* საქართველო ძალიან კარგი გუნდია, რომლის რამდენიმე ფეხბურთელი სოლიდურ კლუბში თამაშობს. ვეცდებით, ასეთი გუნდი დავამარცხოთ, მაგრამ ეს ჩვენთვის ძალიან მძაფრი თამაში იქნება.

**— საქართველოს ნაკრებიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

— რა თქმა უნდა, ყველაზე კარგად ლევან კობიაშვილს ვიცნობ. ის კარგი ფეხბურთელია და თანაც ახლა ძალიან ძლიერად თამაშობს. ცქიტიშვილის და იაშვილის გარდა ისიც ვიცი, თუ რა ფეხბურთელები არიან კალაძე და არველაძე.

**— კობიაშვილთან ამ მატჩის შესახებ ალბათ ისაუბრებდით...**

— ამაზე საკმაოდ ბევრი ვილაპარაკეთ მე და კობიაშვილმა, ბევრს ვხუმრობდით, მაგრამ ახლა ხუმრობის დრო აღარაა, ეს მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— კობიაშვილთან ამ მატჩის თაობაზე რაიმე საკითხზე არ გიკამათიათ?**

— ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია და საკამათო არაა, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დანაკლისია. ვსაუბრობდით ზოგადად დანიურ და ქართულ ფეხბურთზე, ჩვენი გუნდების ტაქტიკაზეც.

**— „შალკემ“ ბოლო ბუნდესლიგური მატჩი შინ წააგო „ჰერტასთან“ 1:3 — რას დააბრალებდით ამას?**

— ჩვენ საკმაოდ კარგ გუნდთან წავაგეთ. ბოლო მატჩები „შალკემ“ კარგად ჩაატარა და ამას ყოველთვის მოსდევს პატარა ჩავარდნა.

**— „შალკემ“ ბოლო თამაშები ახალი მწვრთნელის, რალფ რანგნიკის ხელში ითამაშა — რა შესძინა რანგნიკმა „შალკეს“?**

— მან დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩვენ ჩინებული გუნდი ვართ. ის ძალიან პოზიტიური მწვრთნელია, ფეხბურთელების მოტივირება კარგად ეხერხება.

**— მიგაჩნიათ, რომ ამ შესარჩევ ჯგუფში საუკეთესო გუნდი დანიაა?**

— ალბათ თურქეთს, უკრაინას და დანიას დანარჩენებზე უკეთესი შანსი აქვთ, მაგრამ საქართველო და ალბანეთიც კარგი გუნდები არიან.

**— საქართველო — დანიის თქვენეული პროგნოზი?**

— იმედიანად ვართ და დანიამ სამი ქულა უნდა აიღოს, მაგრამ საქართველოს მართლაც ძლიერი გუნდი ჰყავს.

*თომას გრავესენი:* რამდენიმე შეკითხვაზე გიპასუხებთ, მაგრამ გააჩნია, რას მკითხავთ, „ევერტონზე“ ვერაფერს გეტყვით.

**— საქართველოსთან თქვენს შანსებს როგორ აფასებთ?**

— 50/50-ზე.

**— მიგაჩნიათ, რომ ქართული და დანიური ფეხბურთის დონე თანაბარია?**

— არა, 50/50-ზე იმიტომ ვთქვი, რომ საქართველო სახლში თამაშობს საკუთარ გულშემატკივართან და მისთვის კარგად ნაცნობ მინდორზე.

**— ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— თბილისი „დინამოს“ ერთ ფეხბურთელს, რომელმაც „ნიუკასლთან“ ითამაშა.

**— რომელს, რა პოზიციაზე მოთამაშეს?**

— ის შემტევი იყო, კარგი დრიბლინგი აჩვენა და გოლის გატანაც შეეძლო, ღონიერი, ჯმუხი ბიჭია. ვიცი, რომ ის ნაკრებში არ თამაშობს, მაგრამ კარგი ფეხბურთელია.

**— ნაკრებში მოთამაშეთაგან არავინ მოგწონთ?**

— არ ვიცი... თუმც ტექნიკური ნაკრები გყავთ, რომლიდანაც არავის გამოვარჩევ.

**კობა ინასარიძე**
**დავით თავართქილაძე**



კრისტიან პოულსენი



თომას გრავესენი

### იტალია

სერია C1/B. XI ტური

სამბენედეტეზე 0:0 აველინო

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XVI ტური

ბრესტი 1:1 დიჟონი

### პორტუგალია

სუპერლიგა. X ტური

რიუ ავე 1:1 გიმარაეში

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XIII ტური

უნტერჰახინგი 1:3 კიოლნი

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XIII ტური

ოპავა 1:1 ლიბერეცი

ალენ ჟირესის საპრესკონფერენციო სერიალი გუშინაც გაგრძელდა. საქართველოს ნაკრების ფრანგმა თავკაცმა სასტუმრო „ბატესტაში" კვლავაც ჩვეული იუმორით გვიმასპინძლა და სადანიო მზადების სიახლეებზე გველაპარაკა. მუსიე ალენი ამბობს, მორტენ ოლსენის გუნდი მეტ-ნაკლებად გაშიფრული მყავს და მათგან ტაქტიკურ სიურპრიზებს არ ველოდებიო. კეთილი, თუ ასეა, ეს კიდევ ერთი პლუსი ჩვენკენ. პირველი პლუსი კი, იცით, დანიელთა შესუსტებული კრებულით სტუმრობაა.

ჟირესს თავიდან ნაკრების სათამაშო ფორმაზე ჰკითხეს, უხარისხობას ვერ ამჩნევთო. ფრანგმა მხრები აიჩეჩა, რაც გვაქვს, ეს გვაქვს, თანაც ახლა რა დროს ფორმების დაწუნებააო...



# ჟირესს ოლსენი ჩივაქესავით, დანია კი ზღაპარივით ესმის

## ასათიანი ქართველი ბეკენბაუერია

— როგორც იცით, ნაკრები სრულად ჯერ არ შეკრებილა. სამი ფეხბურთელი (ხიზანიშვილი, არველაძე, კალაძე) დღეს საღამოს ჩამოვა და სრულად მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშებთ.

**— ევროპის ჩემპიონატზე დანიის მატჩებს დაესწარით და მას შემდეგ ოლსენის გუნდის თამაშში რაიმე სიახლე ხომ არ შეგინიშნავთ?**

— დანია განსწავლულ ფეხბურთს თამაშობს და ტაქტიკას არ ცვლის. ყურადღება მხოლოდ იმას მივაქციე, რომ ამ შესარჩევ ციკლში შინ ორივე მატჩი ფრედ დაამთავრეს, სტუმრად კი ერთხელ ითამაშეს და ისიც მოიგეს, ასე რომ, მეტოქეს გასვლითი მატჩის პრობლემა არ აწუხებს.

**— ოლსენიან დანიის ნაკრებს მინდორზეც შეხვედრიხართ 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე. მაშინდელ „დანიურ დინამიტთან" და ახლანდელთან როგორ პარალელს გაავლებდით?**

— ოლსენი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო. მას თამაშის ისეთივე ვირტუალური ხედვა ჰქონდა, როგორიც ფრანც ბეკენბაუერსა და ალექსანდრე ჩივაძეს. ერთიცაა, იმდროინდელ დანიას ელკიაერი, ლაუდრუპი და ლერბიუ ჰყავდა, იმ ევროპის ჩემპიონატის პირველივე მატჩში ჩვენთან ალან სიმონსენიც დაემტვრათ. ის თამაში 1:0 მოვიგეთ. არა, მაშინ ზღაპრული გუნდი ჰყავდათ და ინდივიდუალისტებით უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე ახლა.

**— ჩვენს ნაკრებზე გადავიდეთ: შოთა არველაძე „რეინჯერსის" ბოლო მატჩში უმეტესად შეცვლებზე, თანაც შემტევ ნახევარმცველად თამაშობს. ეს რაიმე პრობლემას ხომ არ შეგიქმნით შოთას თავდამსხმელად გამწესებაში?**

— ჩემთვის არველაძე ყოველთვის თავდამსხმელი დარჩება. იგი მუშა ფორვარდია და დაცვასაც არცთუ იშვიათად ეხმარება.

**— მალხაზ ასათიანი რუსული პრემიერლიგის საუკეთესო მცველად დაასახელეს, ნაკრებში კი ნახევარმცველად თამაშობს. არც ამაში ხედავთ პრობლემას?**

— არანაირს. დღესდღეობით ნაკრებს შუა ხაზში უფრო უჭირს და ასათიანს ამიტომაც ვათამაშებთ ამ ადგილზე. მგონი, ყველამ დაინახა, რომ მალხაზის ნახევარმცველობით უკრაინასთან და ალბანეთთან არაფერი წაგვიგია. საერთოდაც, იგი „ლოკომოტივში" ლიბეროს ფუნქციებს ასრულებს, ხოლო ლიბეროებს ყოველთვის შეეძლოთ და შეუძლიათ ნახევარდაცვაში თამაში. მაგალითად ისევ ბეკენბაუერს გავიხსენებ — როცა გუნდს სჭირდებოდა, იგი გამთამაშებლობასაც ასრულებდა.

**— გიორგი ქინქლაძის თამაშს თუ ადევნებთ თვალყურს და ნაკრებში მის გამოძახებაზე ხომ არ გიფიქრიათ? მით უმეტეს, როგორც ამბობთ, ნახევარდაცვაში გვიჭირს...**

— მე მშვენივრად ვიცნობ ქინქლაძის წარსულს. ის ძალიან დიდხანს დარჩა უთამაშებელი და ეს უკვალოდ ვერ ჩაივლის. სხვათა შორის, გიორგის თამაშს ვაკვირდები და თუ მოუმატა, რატომაც არა — შეიძლება გამოვიძახო. ისე, კვიპროსის ჩემპიონატის დონეს ნაღდად ვერ შევაქებ...

ილია ნანობაშვილი

# ეს თამაში ჩვენი შანსია

გუშინდელი ვარჯიშის მთავარი ამბავი „პოლონელის" და „გერმანელების" შემატება იყო — პლოცკელი მამია ჯიქია, შალკელი ლევან კობიაშვილი, ფრაიბურგელები ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ნაკრებს შეუერთდნენ და გუშინ სრული დატვირთვითაც ივარჯიშეს.

სადღეისოდ ალენ ჟირესის განკარგულებაში ჩვიდმეტი ფეხბურთელია, თუმც ნუხელ მათი რიცხვი ოცამდე გაიზარდა — კახა კალაძე, შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი სასტუმროში შეუერთდნენ გუნდს...

თავიდან ჟირესმა ბიჭები კარგად შეახურა და მერე ბურთით ავარჯიშა. ფრანგი მწვრთნელის მთავარი აქცენტები იოლი მისახვედრი იყო — ბურთის დიდხანს დაჭერა და... პრესინგი, პრესინგი, პრესინგი. ჟირესი შეგირდებისგან მუდმივ მოძრაობასა და ზონების დროულ შევსებას ითხოვდა.

იქით ოთარ გაბელია ბომბავდა მეკარეებს და ერთ მომენტში აკაკი დევაძემ თითი იტკინა, თუმც საშიში არაფერია — „დევას" უმალ უწამლეს და პრობლემაც ამით ამოიწურა.

ვარჯიშის დაწყებიდან 20-25 წუთი იქნებოდა გასული, მუსიე ალენმა ბიჭები რომ შემოიკრიბა და სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მწვრთნელი ფეხბურთელებს მორიგ დავალებას აძლევდა... სიჩუმე საპატრულო მანქანის მეგაფონის ხმამ დაარღვია — სტადიონიდანაც კარგად ჩანდა, პატრული აეროპორტიდან მომავალ დანიის ნაკრების ავტობუსს მიუძღოდა. აი, დანია, გაისმა მავანის ხმა და... ნაკრებელებს ყურადღება არ გაფანტვიათ, ავტობუსს თვალიღა გააყოლეს და ვარჯიშიც ჩვეულად გააგრძელეს.

ეს კობიაშვილია; აგერ ასათიანი; იაშვილიც ჩამოსულა; კალაძე სადაა? „ხიზანაც" არ ჩანს... „ოლიმპზე" მისულ გულშემატკივარს გასარჩევ-სალაპარაკო არ გამოლევია. სხვათა შორის, პირველი ვარჯიშისგან განსხვავებით, გუშინ გაცილებით მეტი ქომაგი დაესწრო ნაკრების წვრთნას. დაესწრო და არც არაფერი დაუკარგავს — ბიჭებს მონდომება არ აკლიათ და ალბათ ჟირესის სიტყვებიც არ არის ჰაერიდან მოტანილი, დღევანდელ ნაკრებში უგულოდ არავინ თამაშობსო, რომ თქვა.

ნავარჯიშევს კი ლევან კობიაშვილს და ჟირესისეული ნაკრების დებიუტანტ მამია ჯიქიას გავესაუბრეთ...

*ლევან კობიაშვილი:* ვემზადებით და გუნდშიც სერიოზული ატმოსფეროა. ბიჭები მონდომებულები არიან და ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— დანიაზე რისი თქმა შეგიძლია?

— ძლიერი გუნდია და ამაში ახალი არაფერია, მაგრამ შიშზე ლაპარაკიც ზედმეტია. დაუმარცხებელი არავინაა.

**— ეს მატჩი აქამდე ჩატარებულთაგან ყველაზე რთული იქნება?**

— სირთულესა და გაჭირვებაზე გუნდში არავინ ფიქრობს. დანიაზე უკეთეს გუნდებთანაც გვითამაშია და სისულელე იქნება, დანიელთა სიძლიერეზე ფიქრით თავის ატკივება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ნაკრებშიც ბევრია ისეთი, საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელების წინააღმდეგ რომ უთამაშია და არაფრის მოგვერიდება. დანიას პატივს ვცემთ, მაგრამ უკან არ დავიხევთ. მთავარია, ჩვენ როგორ ვითამაშებთ და როგორ გამოვიყენებთ შანსებს.

**— ანუ ეს თამაში ჩვენი შანსია?**

— რა თქმა უნდა, ერთხელაც ვიტყვი, რომ დანიის სიძლიერეში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ამის არ გვეშინია. თან შინ ვთამაშობთ და ეს ჩვენი პლუსია.

*მამია ჯიქია:* როგორც ხედავთ, სერიოზულად ვემზადებით და მიხარია, რომ გუნდში კარგი განწყობაა. დანიასთან თამაშსაც ოპტიმისტურად ვუყურებ.

**— ელოდი, რომ ჟირესი ნაკრებში მიგიწვევდა?**

— სიმართლე გითხრა, ნაღდად არ მეგონა, ახლა თუ გამომიძახებდა. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე კი მელაპარაკა ჟირესი და მითხრა, გაფართოებულ სიაში ხარ, კარგად მოემზადე და დაგაკვირდებიო, მაგრამ დანიასთან სათამაშოდ თუ ჩამოვიდოდი, ვერ ვიჯერებდი.

**— ბოლოს თასზე „ოდრასთან" მეორე ტაიმში გახვედი მოედანზე. რატომ?**

— „ოდრასთან" საერთოდ არ უნდა მეთამაშა. ფრე და ჯგუფიდან გასულები ვიყავით, ამიტომ მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენა. უბრალოდ, ვიცოდი, ნაკრებში რომ მიმიწვიეს და მწვრთნელს ვთხოვე, რამდენიმე წუთით მაინც მოეცა თამაშის საშუალება. ასეც მოხდა.

**— მოკლედ, მზად ხარ?**

— რა თქმა უნდა. ურიგო ფორმაში არ ვარ, დანარჩენი მწვრთნელების გადასაწყვეტია.

კახა შალამბერიძე


მამია ჯიქია


ლევან კობიაშვილი


გიორგი ლომაია


ჭაჭი დევაძე

# გეორგანიზაცია: ფეხბურთშიც მიწათმოქმედები ვართ

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროშესარჩევში მეოთხე გამოცდას ჩააბარებს. 3 თამაშიდან ოთხქულიანი ქართველები ჯგუფის პოტენციურ ლიდერ დანიას ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებენ



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ჩვენი ნაკრების თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ გუშინ „ეროვნულზე“ ერთი საათი ავარჯიშა ბიჭები. წინა დღისგან განსხვავებული არაფერი მოგვხვედრია თვალში გარდა იმისა, რომ გუნდის ორად გაყოფისას დავით ნაკანი ძირითადებში მოხვდა — წინასწარ არ ვიჩემებთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ტყებუჩავამ ერთ გუნდში სწორედ ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც დანიას პირველი წუთიდანვე დაუპირისპირდებიან. უკვე იცით, რომ 21-წლამდელებს საზარდულმტკივანი გამთამაშებელი გოჩა ხოჯავა დააკლდებათ, რამაც ისედაც გაჭირვებაში მყოფ ტყებუჩავას ქვა ალმართში დააწია.

— ჩვენ ყოველთვის ჯიგრით ვთამაშობთ. აგრესია და შეტევა ხვალაც იქნება, ამდენმა დანაკლისმა საფიქრალი მოგვიმატა, მაგრამ მოსაგებად თავს დავდებთ — გვითხრა *გოჩა ტყებუჩავამ*, რომელსაც გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ...

**— როგორც ჩანს, ხოჯავას ნაცვლად არავინ გამოგიძახებიათ...**

— ამ ეტაპზე ამას მოვირიდეთ, ვფიქრობ, 18 კაცი საკმარისია. ისე, ჩვენი სტრატეგია ცნობილია: ყოველი მატჩისთვის მინიმუმ ერთი ახალწვეული გვყავს. მაგალითად, წინა თამაშში კოტე დარსანია გამოვცადეთ, ახლა დავით ნაკანი დავიმატეთ. მათ მონდომებასა და შეძლებაში დავრწმუნდი. ნაკანი ძალიან მაინტერესებდა, ვიცოდი, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ დუბლებში გოლები გაჰქონდა და შანსი მივეცით. რაც უფრო მეტ ფეხბურთელს ვნახავთ საქმეში, მით უკეთესი.

**— დანიასთანაც თამაშის აგრესიული სტილს მიმართავთ?**

— როდესაც ახალგაზრდულის მწვრთნელად დავინიშნე, ჩემთვის დიდი მიზნები არ დაუსახავთ. იყო მოთხოვნა, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი შემექმნა, რაც, ჩემი აზრით, ზოგადად ქართული ფეხბურთის ნაკლია.

**— თქვენი კოზირი რა იქნება?**

— პირველ რიგში, ძალიან გვჭირდება გულშემატკივართა მხარდაჭერა. თუ ისეთი ქომაგობა იქნება, როგორიც ალბანეთთან იყო, შეუძლებელს გავაკეთებთ. ერთ რამეს ყველას ვპირდებით — ხვალ ბიჭები 90 წუთი თავს დადებენ. დანია ცოტა ტექნიკაში მოიკოჭლებს და ამ მხრივ უნდა ვაჯობოთ. მაღალ ჩაწოდებებს არ მივმართავთ, დაბლა ვაგორებთ ბურთს.

**— ნაკრებმა პირველი ორი მატჩი კარგად ჩაატარა და შედეგიც მიიღო. უკრაინასთან რა მოხდა, განწყობა დაიკარგა თუ კლასი არ გეყოთ?**

— უკრაინული თამაშის გახსენებაც არ მინდა. ამ თამაშის კასეტაც კი არ მიჩვენებია ბიჭებისთვის, რადგან არ მინდოდა, ფსიქოლოგიური ტვირთი დამატებოდათ. იმასაც ვიტყვი, რომ იმ მატჩის წინ საკადრისად ვერ მოვემზადეთ და ექვსი ბურთიც იმიტომ წამოვიღეთ. ახლა კი გუნდში საბრძოლო განწყობაა და ამაში დარწმუნდებით.

# ეს ხალხი შარდზეა!

ჩვენების ვარჯიშის დასრულებიდან ნახევარ საათში დანიელი ახალგაზრდებიც მოადგნენ ეროვნულ სტადიონს. სტუმართა თავკაცმა ფლემინგ სერისტლევმა ჯერ ერთი-ორი ნრე აძუნძულა შეგირდები, მერე კი გუნდი სამ ნაწილად გაჰყო და „კვადრატი“ გააჩალებინა

გოჩა ტყებუჩავამ დანიელებზე თქვა, ტანად დარჩეული ბიჭები არიანო, თუმცა სკანდინავიელებში იან კოლერისა და ჯონ კარეუსნაირი გოლიათები არ დაგვილანდავს — ერთი ჩვეულებრივი ათლეტური და ჩრდილოევროპული ყაიდის გუნდია, რომელიც არც ტექნიკასათანაა მწყრალად.

„პატარა დანიელებმა“ მსუბუქად ივარჯიშეს და ეს საქმე ხეირიანად დაწყებულიც არ ჰქონდათ, რომ უცებ მათი ოთხი ფეხბურთელი სტადიონის კედელთან ჯარისკაცებივით ჩამწკრივდა და მოშარდა... რომ გითხრათ, გაკვირვებისგან ყველამ პირი დააღოო, არ ვიქნებით მართლები. ეს „რიტუალი“ ხომ 4 თვის წინ დანიელთა მოძმე ფარერელებისგანაც ვიხილეთ ამავ ეროვნულ სტადიონზე.

ახალგაზრდა დანიელებში ფორვარდთა წყვილი გამოირჩევა — ბრონდბიუელ თომას კალენბერგს 14 სანაკრებო მატჩიდან 4 გოლი მოუგროვებია და ეროვნული ნაკრებიც დაუჭაშნიკებია. თუმცა ამ შესარჩევში უფრო ზუსტად 19 წლის მორტენ რასმუსენი ურტყამს, რომელმაც წინა 3 მატჩში ამდენივე ბურთი შეაგდო და მალე მასაც ოლსენის ამალაში ელის დაწინაურება.

*ფლემინგ სერისტლევის* სამწვრთნელო წარსულზე კი იმას ვიტყვით, რომ იგი 2000 წლიდან თავკაცობს დანიის ახალგაზრდულ ნაკრებს, მანამდე კი 8 წელი 19-წლამდელებს მესაჭეობდა. ნავარჯიშევს სერისტლევი ინტერვიუზეც დაგვთანხმდა...

**— რა იცით საქართველოს ნაკრებზე?**

— გაზაფხულზე თქვენების ამხანაგურ მატჩს დავესწარი ისრაელთან, ორი თამაშის ვიდეოჩანაწერიც ვნახე, ხოლო უკრაინულ შეხვედრაზე მზვერავიც გვყავდა გაგზავნილი.

**— ჯგუფის ფავორიტები ხართ და, ბუნებრივია, სამი ქულის ასაღებად ჩამოხვიდოდით...**

— ჩვენ ყველგან მოსაგებად მივდივართ, მაგრამ წინასწარ ვიცი, რომ ხვალ გაგვიჭირდება. ქართველებმა თურქეთთან სტუმრად ფრეს მიაღწიეს და კარგი თამაშიც აჩვენეს, ჩვენ კი იმავე თურქეთს შინ ვერ მოვუგეთ. რაც შეეხება ფავორიტობას, ასეც ნუ იტყვით — თანაბარი ჯგუფია, ყველას ყველასთან მოგება შეუძლია.

— გავიგეთ, მორტენ ოლსენს ახლო მომავლისთვის თქვენი რამდენიმე ფეხბურთელი შეუგულებია.

— ასეა, კაპიტან თომას კალენბერგს უკვე აქვს ეროვნულში თამაშის გამოცდილება.

**— იმის გათვალისწინებით, რომ სტუმრად თამაშობთ, უფრო ფრთხილ ტაქტიკას ხომ არ აირჩევთ?**

— არა. ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სად ვთამაშობთ. გვაქვს ერთი ტაქტიკური სქემა, რომელსაც შეტევა ჰქვია.

**— ბოლოს ერთი არასაფეხბურთო კითხვაც: ივლისში ფარერული კლუბი იყო თბილისში და მათმა ფეხბურთელებმა ვარჯიშისას ამავე სტადიონზე მოშარდეს. დღეს თქვენებმაც იგივე გააკეთეს...**

— არც კი ვიცი, რა ვთქვა. მე ეს არ დამინახავს და თუ ასეთი რამ მოხდა, ჩემი ფეხბურთელების სახელით ბოდიშს ვიხდი. არ გეგონოთ, დანიაში ამგვარი ტრადიცია არსებობდეს — როგორც წესი, ჩვენ საპირფარეშოს ვიყენებთ...

ახალგაზრდული ქართულ-დანიური სავარჯიშო დღე ამით დამთავრდა. ჩვენ კი გაცნობებთ, რომ დღეს მატჩი 20 საათზე დაიწყება და მას სლოვაკი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი არბიტრ რიჩარდ ჰავრილას მარიან რუჟბარსკი და რადომირ შლუკი მიეხმარებიან.

**ილია ნანოგაშვილი**
**ლადო ჭულუკიძე**





გურამ ცოცხალაშვილის ფოტო



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

ფლემინგ სერისტლევის „პატარა დანია“



ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგს" ძალიან გაუჭირდა

# ტიტულის მატარებელი ჩრდილოეთიდან მოდის

*გასულ უქმეებს შეგვიძლია ოქროსფერი დავარქვათ* — ერთბაშად ხუთი ქართველი გახდა უცხო ქვეყნის ჩემპიონი. მოსკოვის „ლოკომოტივში" *მალხაზ ასათიანი* და *მიხეილ აშვეთია*, რიგის „სკონტოში" კი *ლევან კორღალიძე*, *ზურაბ მენთეშაშვილი* და *გიორგი ყიფიანი* სეზონს წარმატებით აგვირგვინებენ.

ამათგან კორღალიძე-მენთეშაშვილისთვის ჩემპიონობის გემო უცხო სულაც არაა — უკვე 6-ჯერ იპირველეს ლატვიაში; აი, ასათიან-აშვეთია-ყიფიანის სამეულს კი ამგვარი პატივი საქართველოს გარეთ პირველად ერგო.

სადღეისოდ ამ ხუთეულში ყველაზე კაშკაშა ფიგურა ასათიანია, ვინც ახლა საქართველოს ნაკრებთან ერთად სადანიოდ ემზადება. ალბათ საინტერესოა, რა თქვა „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა მასზე საჩემპიონო მატჩის შემდეგ: „მალხაზმა თავისი კლასი უკვე დაამტკიცა. როცა ის ჩვენთან გადმოვიდა, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი იყო, მაგრამ ერთი პრობლემა ჰქონდა — გუნდში თავისი ადგილი უნდა ეპოვა. ასათიანს წინა სეზონში რამდენიმე თამაში მივეცი, თუმც გამოუცდელობის გამო თავი დიდად არ გამოუჩენია, ხშირად ცდებოდა და მივხვდი, რომ ეს ნერვიულობის ბრალი იყო. მაშინვე დავუძახე და პირისპირ ველაპარაკე. ვურჩიე, არსად წასულიყო, ევარჯიშა და შანსს აუცილებლად მივცემდი. ვარჯიშისას ერთი-ორჯერ მცველად დავაყენე და თავი არ შეურცხვენია. მერე სერგეი იგნაშევიჩმა დაგვტოვა, ადგილიც გათავისუფლდა და... ტვინს რომ ვიჭყლეტდი, ჩემმა თანაშემწე ვლადიმირ ეშტრეკოვმა მითხრა, ასათიანი ვათამაშოთ მცველადო. როგორც ხედავთ, მალხაზმა გაამართლა".

მოკლედ, რკინიგზელთა ქართველი შემტევი უცებ მცველად გარდაიქმნა და... „მიკვირს, ასეთი აღიარება რომ მოვიპოვე" — ეს სიტყვები მალხაზმა მას შემდეგ გვითხრა, პრემიერლიგის საუკეთესო მცველად რომ აღიარეს.

*ლეგიონერთა ამბები ბუნდესლიგით გავაგრძელოთ.* *ალექსანდრე იაშვილმა* მეორე საამსეზონო გოლი გაიტანა, მაგრამ გაჭირვებულ „ფრაიბურგს" ამანაც ვერ უშველა. ბილეფელდის „არმინიამ" 3:2 მოუგო ფოლკერ ფინკეს გუნდს. „იაშკას" დარად 90 წუთი ითამაშა *ლევან ცქიტიშვილმაც*, „ფრაიბურგი" კი გასავარდნ მე-17 ადგილზეა.

წაიფორხილა *ლევან კობიაშვილის* „შალკემაც" და თან მაშინ, როცა ამას არავინ ელოდა. ბოლოხანს მოგებებს დაჩვეული „ხუმარები" ბერლინის „ჰერტასთან" 1:3 ჩაიჭრნენ და ერთი საფეხურით დაქვეითდნენ — მესამე ადგილზე არიან.

*უკრაინაში ირაკლი მოდებაძემ იყოჩაღა.* ზაპოროჟიეს „მეტალურგისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა „დნიპროს" გაუტანა და გუნდს ქულა გადაურჩინა. მოდებაძისთვის ეს მესამე გოლი იყო მეშვიდე მატჩში, რაც ურიგო შედეგი სულაც არაა. სხვათა შორის, ირაკლიმ წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოასწრო თავის გამოჩენა — ისრაელს და ალბანეთს გაუტანა.

**ბახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | სიენა 2:1 | 0 | სათადარიგო | 6 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰერტა 1:3 | 90 | | 11 | 2 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | არმინია 2:3 | 90 | 1 გოლი | 11 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | არმინია 2:3 | 90 | | 9 | 1 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | კარლსრუე 1:0 | 0 | | 8 | 1 | 10 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | აინტრახტი 2:2 | 0 | | 4 | 0 | 8 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰიბერნიანი 1:0 | 0 | | 11 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ჰიბერნიანი 1:0 | 82 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 8 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ბრეგენცი 1:2 | 90 | | 16 | 3 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | შინიკი 2:0 | 90 | | 22 | 1 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | შინიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 1 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | ტორპედო 1:4 | 80 | შეცვალეს | 9 | 0 | 12 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | ს | ტორპედო 1:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ ლობჟანიძე | როსტოვი | ს | ტორპედო 1:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | რუბინი 1:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | რუბინი 1:4 | 0 | სათადარიგო | 18 | 1 | 14 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | ს | რუბინი 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 14 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | შ | სპარტაკი 1:1 | 90 | | 14 | 0 | 13 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | როსტოვი 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ბორისფენი 1:0 | 58 | შეცვალეს | 13 | 3 | 3 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ობოლონი 7:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| გია ქანტურია | ტავრია | ს | ვორსკლა 0:1 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 12 | 7 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ილიჩევეცი 1:0 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 5 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 1:1 | 90 | 1 გოლი | 7 | 3 | 13 |
| ლაშა ქელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 13 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | ისტანბული 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 4 |
| **პოლონეთი. თასის ჯგუფური ეტაპი** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | შ | ოდრა 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დიტონი 6:0 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დიტონი 6:0 | 45 | შეცვალეს | 22 | 3 | 1 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | დიტონი 6:0 | 0 | | 8 | 2 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | აუდა 2:1 | 0 | | 9 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | შ | იურმალა 0:1 | 90 | | 24 | 1 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ბელასიცა 2:0 | 90 | | 13 | 4 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | | 4 | 1 | 7 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ლოკომოტივი 1:2 | 90 | | 6 | 0 | 7 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | ს | ცსკა 0:2 | 0 | | 0 | 0 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



მალხაზ ასათიანი



მიხეილ აშვეთია



ლევან კორღალიძე



ზურაბ მენთეშაშვილი



გიორგი ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შარშან მეტ წამაქციეს

## შირერი განრისხებულია, სუნესი გამხეცებული

*ეს ალბათ წესად შემოდის: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ დარტყმული ყოველი პენალტი საზოგადოებრივი განხილვის საგანი ხდება. კვირას, ნიუკასლში, როცა ანგარიში 1:1 იყო, მასპინძელთა კარის წინ წარმოქმნილ არეულობას პენალტი მოჰყვა: ბურთზე წასული მეკარე შეი გივენი პოლ სქოულზს ნახტომში გადაელობა და წააქცია*

**რუუდ ვან ნისტელროიმ** გაიტანა, „მანჩესტერმა“ კი თამაში გარდატეხა და საბოლოოდ 3:1 მოიგო. „ნიუკასლის“ მხრიდან ერთადერთი გოლის ავტორმა, კაპიტანმა ალან შირერმა თამაშის შემდეგ თქვა, რომ მსაჯმა მაიკ დინმა სტუმრებს პენალტი აჩუქა.

„მათ პენალტი აჩუქეს, იმიტომ, რომ წინა ტურის მერე სერ ალექს ფერგიუსონი ჩიოდა, პენალტი არ მომცესო“ — განაცხადა შირერმა. წინა ტურში, „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ ფერგიუსონი მართლაც ითხოვდა ერთბაშად ორ პენალტს და მსაჯ გრემ პოლსაც გაჰკრა კბილი. ხოლო იქამდე ორი კვირით ადრე, „არსენალმა“ ლამის საერთო ეროვნული საპროტესტო კამპანია გასწია იმ პენალტის წინააღმდეგ, უეინ რუნიმ სოლ კემპბელს რომ გამოსტყუა „მანჩესტერ“ — „არსენალის“ მატჩისას.

„ჩვენ ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ. ძალიან გავბრაზდი ამ პენალტზე. სანამ შეის დააჯარიმებდნენ, ის უნდა დაენახათ, რომ რუნიმ ენდი ობრაიენს ხელი ჰკრა და ბურთი ისე აართვა, მომენტიც აქედან წარმოიქმნა — თქვა შირერმა — ამ მომენტიდან ორმოციოდე ნაბიჯში ვიდექი და ვხედავდი, რომ რუნიმ ენდი წააქცია. მსაჯი ხუთიოდ ნაბიჯში იყო და ვერ დაინახა. ევებ



მაიკლ რაილი

ის ფერგის კომენტარების გავლენის ქვეშ იყო? რა ვიცი. ამ თამაშის მომგებებიც ვიყავით, მაგრამ პენალტმა გაგვტეხა. არ მგონია, ჩვენთვის მოეცათ ასეთი პენალტი „ოლდ ტრეფორდზე“. შარშან მაგათმა მეკარემ წამაქცია, მაგრამ პენალტი არ მოგვცეს“.

აი, როგორი გაბრაზებულია ალან შირერი.

„ნიუკასლის“ ბოსმა გრემ სუნესმა კი თქვა — „გამხეცებული ვარ. რაც გვეკუთვნოდა, ვერ მივიღეთ. რუნიზე ჯარიმა იყო. ყველაფერი პენალტმა გადაწყვიტა. ახლა ამაზე მეტს ჩემს ფეხბურთელებს ვერ მოვთხოვ. მათ თავი დადეს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ზემანი წვიმას და მსაჯს გაუწყრა

*სერია A-ს მეთორმეტე ტურში, „ლეჩემ“ „იუვენტუსს“ უმასპინძლა და 0:1 წააგო. შეხვედრა თავსხმაში ჩატარდა, მოედანზე ბურთი ალაგ-ალაგ ვერც კი დახტოდა და სწორედ ამან გააღიზიანა მასპინძელთა ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი, რომელმაც განაცხადა, რომ მატჩი ასეთ ამინდში არ უნდა ჩატარებულიყო*



**შეგახსენებთ,** რომ ზემანი საერთოდაც ცუდადაა „იუვენტუსისადმი“ განწყობილი. სწორედ მის ინტერვიუს მოჰყვა 90-იანი წლების ბოლოს ის გამოძიება, რომელიც იტალიურ ფეხბურთში, უპირველეს ყოვლისა კი, ტურინის გუნდში დოპინგის მიღებას მიეძღვნა და მის შედეგად „ბებერი ქალბატონის“ ექიმს, რიკარდო აგრიკოლას საქმე საციხოდაც კი აქვს. თუმც ამჯერად ზემანმა „იუვეს“ წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზად ავდარი მოიდო. ბუნებრივია, ზემანის „ლაშქრობა“ ტურინელებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. კომენტარები ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ გააკეთა.

„ბოლო წლებში უარეს პირობებშიც გვითამაშია და ამის გამო ქვეყანა არ შეგვიძრავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ რამდენიმე წლის წინ, სეზონის ბოლო ტურში, პერუჯაში, უბრალოდ საცურაო აუზის მსგავს ვითარებაში დავკარეთ ჩემპიონობა. რაც შეეხება ამ მატჩს, წვიმის მიუხედავად მოედანი საძაგელი არ ყოფილა. ბურთი დახტოდა. ასე რომ, ორივე გუნდი ფეხბურთს თამაშობდა“ — ბრძანა მოჯიმ.

რაც შეეხება ზემანს, მან წვიმის გარდა „ლეჩეს“ მარცხი „იუვენტუსთან“ მსაჯ მასიმო დე სანკტისსაც დააბრალა.

„მე ძალიან მწყინს, რომ მატჩი, რომელიც მთელს იტალიას უნდა ენახა, დე სანკეტსს ჩააბარეს. მწყინს, რომ დე სანკტისმა „იუვენტუსს“ ამოდენა ზურგის ქარი უძღვნა“— უთხრა ზემანმა გადაცემა „ლა დომენიკა სპორტივას“ წამყვანს.

ამაზე ლუჩანო მოჯიმ მიუგო: „დე სანკტისმა კარგად გაართვა მატჩს თავი. „იუვენტუსი“ გამარჯვებას საგოლე მომენტების სიმრავლის გამო იმსახურებდა. ჩვენ ყველას დავუმტკიცეთ, რომ დიდი გუნდი ვართ. ფაქტია, ჩვენს ხელთ წარმატების მისაღწევად ყველა პირობაა და მე მხოლოდ იმედის გამოთქმაღა დამრჩენია, რომ მომავალშიც ასე ძლიერად ვითამაშებთ“.

**პაპუნა ძიდია**





# რეალი იტალიურ ბაზარზე

## პერესი ანჩელოტის აკვირდება

**საინტერესო ამბავია:** „რეალი“, რომელიც იტალიის ჩემპიონატს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს, არ მალავს, რომ ადრიანოს ამბების შემდეგ „მილანში“ კარლო ანჩელოტის ამბები აინტერესებს.

„დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება „მილანში“ — განაცხადა იტალიური „ტუტოსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა — მოვლენებს დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს. ბოლოს და ბოლოს, განა შეიძლება ადამიანს ეს მწვრთნელი არ მოგწონდეს?“

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსში“ ორწლიანი მუშაობის შემდეგ ანჩელოტის უიღბლოსა და წარუმატებელ კაცს ეძახდნენ. მისი ხელმძღვანელობით „ბებერმა ქალბატონმა“ მართალია, ტოლი არავის დაუდო და იგი ნამდვილად ძლიერი გუნდიც გახლდათ, მაგრამ კონკრეტული შეჯიბრება არ მოუგია.

სამაგიეროდ, როგორც კი „დელე ალპიდან“ „სან სიროზე“ გადაბარგდა და „მილანს“ ჩაუდგა სათავეში, ჯილდო ჯილდოზე წამოვიდა, თუმცა ბოლო ხანს მის გარშემო მდგომარეობა მთლად სტაბილური აღარ არის. ამას კი იმიტომ ვამბობთ, რომ „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ერთი ორჯერ საჯაროდ გააკრიტიკა საკუთარი გუნდის მწვრთნელი. კრიტიკის მიზეზი ანჩელოტის 4-3-2-1 სისტემისადმი სწრაფვა გახლდათ, მაშინ, როდესაც ბერლუსკონის კატეგორიულად ორი თავდამსხმელით თამაში სურს.

ამასთან დავძინოთ, რომ თუ ანჩელოტი მართლა გახდება მასპინძელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“, ეს იქნება უკვე მეორე შემთხვევა, როდესაც „რეალს“ იტალიელი სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში. 1996-97 წლების სეზონში „სამეფო გუნდი“ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულამდე ფაბიო კაპელომ მიიყვანა.

რაც შეეხება იმას, რომ მადრიდელები სერია A-ს მიეჩვივნენ: ზაფხულში მათ „რომასგან“ ვალტერ სამუელი იყიდეს და ამის პარალელურად „იუვენტუსს“ იმავე „რომადან“ ემერსონის ყიდვაში ეცილებოდნენ. ამასთან, „რეალი“ დაინტერესებული გახლავთ ინტერელების, ადრიანოსა და ხავიერ ძანეტის ყიდვით. აქედან, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ ადრიანოს ყიდვა არარეალურია, ძანეტის ტრანსფერში „სამეფო კლუბს“ ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს. კერძოდ, მართალია, არგენტინელი „ინტერის“ კაპიტანია, ათი წელიწადია ამ გუნდშია, მაგრამ მხოლოდ ერთი ჯილდო, უეფას თასი აქვს მოგებული. ამასთან, ძანეტის კონტრაქტი „შავ-ლურჯებთან“ 2007 წლის ივნისამდეა, მაგრამ კლუბის მეპატრონეს, მასიმო მორატის ნათქვამი აქვს, რომ თუ კაპიტანი წასვლას ინებებს, იგი მას არ დააბრკოლებს.

**პაპუნა ძიდია**

# დაცვას მიხედოთ, ბიჭებო!

## ფაკეტიმ სკუდეტოზე ხელი ჩაიქნია

*„ინტერის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი ამბობს, რომ არასრულფასოვანმა დაცვამ მისი გუნდი საჩემპიონო რბოლიდან გამოთიშა — „შავლურჯებს“ 12 ტურის შემდეგ უკვე 20 გოლი აქვთ გაშვებული*



„უიღბლობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება — განაცხადა „შავლურჯების“ შეფმა — ჩვენ დაცვა უნდა დავალაგოთ. გუნდი ძალიან ბევრ გოლს უშვებს, თან მეტწილად ერთსა და იმავე მდგომარეობიდან. აუცილებელია დაცვის გადაწყობა“.

დიახ, „ინტერი“ სერია A-ში დაუმარცხებელია, მაგრამ ზემოხსენებულ 12 ტურში 10 ფრე აქვს ნათამაშევი. ერთი სიტყვით, არ მარცხდება, მაგრამ შეიძლება ითქვას, ვერც იმარჯვებს.

„ამჯერად ჩემპიონის ტიტული არც გვაინტერესებს. მასზე უბრალოდ არ ვფიქრობთ — განაგრძო ლეგენდარულმა ფეხბურთელმა — ამიერიდან ზოგადად ჩემპიონატზე კი არა, ყოველი კონკრეტული თამაშის მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. დღეს, როდესაც ფრეს ფრეზე ვთამაშობთ, [illegible] ლოს გავიმარჯვოთ“.

[illegible] თნელს, რობერტო მანჩინის: „მე ის კაცი არ ვარ, ვინც ფარ-ხმალს ყრის და გარბის. ეჭვი არ მეპარება, თუ ისევ ისე ვითამაშებთ, როგორც „კალიარისთან“, ბევრ თამაშს მოვიგებთ. ეჭვი არ მეპარება, რომ შედეგი მოვა. რაც შეეხება ცხრილს, მასში ჩახედვას ამწუთას არანაირი აზრი არ აქვს. მოდით, მხოლოდ შემდეგი მატჩის მოგებას ვინატრებ. მით უფრო, რომ შემდეგი მატჩი „იუვენტუსთან“ გვაქვს“.

შეგახსენებთ, რომ „ინტერი“ „იუვენტუსს“ ანუ ლიდერს 15 ქულით ჩამორჩება.

**პაპუნა ძიძია**

# დაუფინეთ, დაუფინეთ, სან სიროს ხალიჩა

თუ თოვლი მოვა და თან ისეთი, რომ ფეხბურთის მატჩს ხელს შეუშლის, „სან სიროს“ ხელოვნური საფარი მზად აქვს!

მოგეხსენებათ, უეფამ ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის და სხვა მატჩების ხელოვნურ საფარზე თამაშის ნება მომავალი სეზონიდან დართო თავის „ქვეშევრდომ“ გუნდებს და ამ ინიციატივას რამდენიმე იტალიური კლუბი ალბათ გამოეხმაურება. კერძოდ, „სან სიროს“ ბინადრები, „მილანი“ და „ინტერი“ კარგა ხანია, თავიანთი მოედნის-ხარისხს იწუნებენ, მით უფრო, 1990 წლის შემდეგ, როდესაც საგანგებოდ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სტადიონს მესამე იარუსი დააშენეს.

„მილანის“ წარმომადგენელი ალფონსო ჩეფალიელო: „თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ნებას დაგვრთავს, მზად ვართ, ამ საქმეს მივხედოთ. ხელოვნური საფარის დაგება უამრავ პრობლემას მოგვიხსნის და დიდძალ თანხებს დაგვიზოგავს“.

რატომ იყო აქამდე ხელოვნური საფარი დაწუნებული? იმიტომ, რომ მათი წარმოების საწყის ეტაპზე ფეხბურთელები უხეშად ეხლერთებოდნენ და ტრავმიანობა ხშირი იყო, ხოლო დღეს, როდესაც ტექნოლოგია განვითარდა, ხელოვნური საფარი რბილი გახდა და პლუს არ იტბორება და არ იყინება.

„ინტერის“ წარმომადგენელი ლუჩანო ჩუკია: „თავიდან ძალიან სკეპტიკურნი ვიყავით, მაგრამ დღეს „სან სიროსთვის“ დამზადებული ხელოვნური საფარი ის არის, რაც გვჭირდება. მერედა, ჩვენი ფეხბურთელები და მწვრთნელები დღეს არსებულ ბუნებრივ საფარს იწუნებენ, ასე რომ, რაღაც აშკარად უნდა ვიღონოთ“.

საინტერესოა, რომ როგორც „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ, ასევე „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადეს, რომ ამ ბოლო დროს მათი გუნდები სტუმრად უკეთ თამაშობენ, ვიდრე მშობლიურ გაზონზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სექტემბრიდან მოყოლებული, უკვე ორჯერ უმკურნალეს „სან სიროს“ მინდორს, რაც ძალიან ძვირი დაჯდა — თითო მკურნალობა დაახლოებით 180 ათასი დოლარი. ცნობისთვის: გასულ სეზონში იმავე მოედანს ხუთჯერ უწამლეს.

„ჩრდილო ევროპაში ჩვენ უფრო მიჩვეულნი ვართ შედარებით უხარისხო მინდორს — განაცხადა „მილანის“ დანიელმა თავდამსხმელმა იონ დალ ტომასონმა — თუმცა გნებავთ, სკანდინავიაში და გნებავთ, აქ, იტალიაში, მომავალი მხოლოდ სინთეტიკას აქვს“.

**პაპუნა ძიძია**



# ლიპიმ მონტელას კარი გაუღო





ვინჩენცო მონტელა ორწლიანი პაუზის შემდეგ იტალიის ნაკრებს უბრუნდება, თუმცა „სკუადრა ადურაში“ ეს სულაც არ გახლავთ ყველაზე თვალშისაცემი მომენტი — ფინელებთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მარჩელო ლიპიმ უამრავი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა.

„ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ყველა ჯურის შეჯიბრებაში მონაწილეობით დაღლილები არიან, ფინეთთან არ ვათამაშებ. ამ ამხანაგურ შეხვედრას ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა გამოუცდელი ფეხბურთელების გამოცდილებით გასამდიდრებლად შეუძლია“ — ბრძანა „იუვენტუსის“ ყოფილმა თავკაცმა.

მონტელამ, მოგეხსენებათ, მიმდინარე ჩემპიონატში, ანუ თორმეტ თამაშში „რომას“ შემადგენლობაში უკვე ცხრა გოლი გაიტანა და სწორედ ამ დიდებული შედეგით მიიპყრო მწვრთნელის ყურადღება. რაც შეეხებათ ზემოთ ხსენებულ დებიუტანტებს, ისინი გახლავან: „მონაკოს“ მეკარე ფლავიო რომა, „უდინეზეს“ ნახევარმცველი სტეფანო მაური, „მესინას“ მცველი ალესანდრო პარიზი და 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრები, ჯორჯო კიელინი, ანდრეა ბარძალი და ანდრეა კარაჩოლო.

იტალიელებისა და ფინელების ამხანაგური მატჩი მესინას „სტადიო სან ფილიპოზე“ ოთხშაბათს გაიმართება.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეპკემ საქმე გაარჩია

## ბუნდესნაკრების შეკრებიდან ჰილდებრანდი დაითხოვეს



ანდრეას კეპკესთან საუბრის მერე იენს ლემანს გუნება გამოუკეთდა

ხვალ ლაიპციგში გერმანია კამერუნს ამხანაგურად ეთამაშება. იურგენ კლინსმანმა გამწვრთნელების შემდეგ განაცხადა, კარში ის ჩადგება, ვინც უკეთეს ფორმაში იქნებაო. ასე დაიწყო შეჯიბრი ოლივერ კანსა და იენს ლემანს შორის, რომელსაც გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ, ზეპ მაიერმა უაზრობა უწოდა. „მწვრთნელმა უნდა დაასახელოს, ვინ არის ნომერი პირველი, რადგან მეკარეები ფსიქოლოგიურად ითრგუნებიან და შეცდომების ალბათობა იზრდება" — თქვა მაიერმა.

გუშინ ბუნდესნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა ანდრეას კეპკემ ლაიპციგში ერთად შეკრიბა ოლივერ კანი, იენს ლემანი და ტიმო ჰილდებრანდი და საათნახევარი ესაუბრა. „ასეთი შეხვედრა პირველად მოვაწყვეთ და ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ. ყველა საერთო საქმეს ვაკეთებთ და შეხმატკბილებულად მუშაობა გვმართებს" — განაცხადა კეპკემ.

ტიმო ჰილდებრანდი შეხვედრის შემდეგ შტუტგარტში წავიდა, რადგან კამერუნთან მატჩისთვის გამოძახებული არ იყო, ხოლო იენს ლემანმა თქვა: „ანდრეას კეპკესთან მუშაობა სასიამოვნოა. მსურს, რომ მეკარეებს შორის შუღლი არ არსებობდეს. არც ვინმეს ქება მჭირდება. 2006-ისთვის საუკეთესო თუ ვიქნები, მე ვითამაშებ, თუ არადა — სხვა. ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერთი ორმა შეცვალა

## შლიუნცმა ჰანზა თანაშემწეებს დაუტოვა



როსტოკის „ჰანზამ" არაჩვეულებრივი რამ მოახერხა — შინ ზედიზედ შვიდი მატჩი წააგო. ბოლო მარცხი განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა, როსტოკელები „ჰამბურგთან" 0:6 დამარცხდნენ და ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზე დამკვიდრდნენ. ასეთი ანგარიშის შემდეგ მწვრთნელს რომ მოხსნიდნენ, მოსალოდნელი იყო, იური შლიუნცმა კი ინამუსა და თავად გადადგა. „გუნდმა საშინლად ითამაშა, მე კი ნდობა ვერ გავამართლე და ამიტომაც მივდივარ" — განაცხადა მან ნამატჩევს.

კლუბის თავკაცებმა გუნდი დროებით ვოლფგან ფუნკელს და პერი ბროიტიგემს ჩააბარეს, რომლებიც შლიუნცის თანაშემწეებად მუშაობდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რა დროს ამხანაგობაა...

## რეიესი ძველ წყენას ვერ ივიწყებს

***„არსენალის" ესპანელი ვარსკვლავი ხოსე ანტონიო რეიესი ფიქრობს, რომ ოთხშაბათს გასამართი ესპანეთ — ინგლისის ამხანაგური მატჩი სულაც არ იქნება ამხანაგური.***



„მატჩს ამხანაგურს ვერ დავარქმევ. მიმზიდველი თამაში კი იქნება, თუმც ძალიან ხისტიც" — ამბობს არსენ ვენგერის შეგირდი.

გარდა ამისა, რეიესს ინგლისელებთან საკუთარი ანგარიშიც აქვს. მადრიდში მის წინააღმდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველები — გარი ნევილი და რიო ფერდინანდი ითამაშებენ, რომლებმაც „მანჩესტერ" — „არსენალის" ამასწინანდელ პრემიერლიგურ ხმაურიან მატჩში მას ფეხებში გვარიანად ურტყეს.

„ოთხშაბათის მატჩს, ცხადია, დაძაბულობაც ახლავს, მაგრამ თამაშს ვენდეტად არ გადავაქცევთ. ეს ინგლისის ლიგის თასის მეოთხედფინალში უნდა გავაკეთოთ. ახლა კი იმედია, ნევილი და ფერდინანდი მადრიდში ძველებურად არ იუხეშებენ" — აღნიშნა ხოსე ანტონიომ.

რეიესმა თანაგუნდელ ანრისა და ესპანეთის ნაკრების თავკაც ლუის არაგონესს შორის მომხდარ ინციდენტზე საუბარი კი არ ისურვა. მისი აზრით, ეს ყოველივე ინგლისური პრესის გადამეტებული ფანტაზიის ნაყოფია. „არც არაგონეს და არც ანრის ჩემთან ერთმანეთზე აუგი არ დასცდენიათ. ეს კონფლიქტიც მედიის ნახელავია" — დაასკვნა „მეთოფეთა" ფორვარდმა.

ხოლო კითხვაზე, ვის ეკუთვნის „ოქროს ბურთიო", რეიესმა მიუგო: „ბევრი კარგი ფეხბურთელია, რომელიც ამ ტიტულს იმსახურებს, თუმც „ოქროს ბურთს" მაინც ანრის მივცემდი, იგი ჩემი თანაგუნდელი და დიდი მეგობარია".

**ლადო ხომერიკი**



გერდ ნიბაუმი წავიდა, რეინჰალდ რაუბალი მოვიდა

# ოჯახური მიზეზის გამო

## ნიბაუმმა დორტმუნდს ჩემპიონთა თასი და ვალები დაუტოვა

დორტმუნდის „ბორუსიას" პრეზიდენტი გერდ ნიბაუმი თანამდებობიდან გადადგა, მისი ადგილი რეინჰალდ რაუბალმა დაიკავა. რაუბალს თანამდებობასთან ერთად წინამორბედისგან 118 მილიონი ევრო ვალიც დარჩა.

„წასვლა გადავწყვიტე, რადგან ოჯახური საქმეები და პირადი ცხოვრება მოსაწესრიგებელი მაქვს" — თქვა ნიბაუმმა, რომელიც კლუბს 18 წლის განმავლობაში პრეზიდენტობდა.

1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია" ბუნდესლიგაში მეთოთხმეტე ადგილზე დაეშვა მას შემდეგ, რაც გასულ უქმეებზე „კაიზერსლაუტერნთან" წააგო. რეინჰალდ რაუბალის ვარაუდით, 2006 წლისთვის კლუბი ვალებს გაისტუმრებს და ფინანსურად წელში გაიმართება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კუფურს ცოლი ლონდონისკენ ექაჩება



„ბაიერნის" განელ მცველ სამუელ კუფურს კლუბმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და მაისში მიუნხენიდან წასვლას აპირებს. კარლ-ჰაინც რუმენიგემ ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ გუნდს სეზონის ბოლოს გვარიანად „დაბერტყავს" და რამდენიმე ფეხბურთელს გაუშვებს. მათ შორისაა სამუელ კუფურიც, რომელსაც გული პრემიერლიგისკენ მიუწევს. განელის ცოლსაც თურმე ლონდონში გადაბარგება სურს. „ჩემი მეუღლე ლონდონში გადასვლაზე თანახმაა, რადგან მისი ოჯახი იქ ცხოვრობს, მე კი მომწონს ის ფეხბურთი, რომელსაც „არსენალი" თამაშობს და „მეთოფეებში" გადასვლას სიამოვნებით დავთანხმდები".

სამუელ კუფურს „არსენალში" თამაში კი უნდა, მაგრამ უცნობია, რას ფიქრობს განელ მცველზე არსენ ვენგერი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კიდევ ჩაიცვამ პუმას?!

## დომენეკმა წაიკითხა და პირესი ამოშალა





ერთი თვის წინ რობერ პირესი სატელევიზიო გადაცემაში „პუმას“ მაისურით გამოჩნდა, რამაც სკანდალი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის ნაკრების სპონსორი „ადიდასია“, რომელმაც ეს ამბავი შეიტყო და ფეხბურთელის დაჯარიმა მოითხოვა — კონტრაქტის პირობის დარღვევამ 50 ათასი ევროთი გვაზარალაო.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ „მეთოფე“ დაიბარა და გუშინ საათნახევრიანი საუბრის შემდეგ პირესმა „ადიდასს“ მოუბოდიშა: „ეს შეგნებულად არ გამიკეთებია — თქვა არსენალელმა — ჩემდა უნებურად კონტრაქტის პირობა დავარღვიე და ვიცი, რომ პასუხი უნდა ვაგო. თუ დასაჯარიმებელი ვარ, გადავიხდი“.

„პუმას“ ამბავი გაირკვა, მაგრამ გასარკვევი დარჩა კიდევ ერთი — მოუხდის თუ არა ბოდიშს პირესი ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკს. დაახლოებით ათი დღის წინ საგაზეთო ინტერვიუში „მეთოფემ“ ნაკრების თავკაცი გაკენწლა, პატარა ბიჭივით მექცევა, თითქოს ფეხბურთის თამაშს ახლა ვიწყებ, ჩემს ნერვებზე თამაშობს და ერთად ვერ ვიმუშავებთო. სახვალიოდ, პოლონეთთან ამხანაგური მატჩისთვის, რაიმონ დომენეკმა რობერ პირესი არ გამოიძახა. მწვრთნელი ამტკიცებს, ფორმაში არაა და ამიტომ არ ვუხმეო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი არსენალელის ინტერვიუა. „მეთოფე“ და დომენეკი ჯერჯერობით პირისპირ არ შეხვედრიან.

**გაჟა ხუციშვილი**

# რაიკარდი ორ თავს ემხრობა

*ევრო 2002-ის შემდეგ ნაკრებიდან წასულმა ფრანკ რაიკარდმა როტერდამის „სპარტა“ ჩაიბარა და გუნდი ჰოლანდიის უმაღლესი დივიზიონიდან... პირველად გავარდა. მიუხედავად ამისა, „ბარსელონას“ თავკაცებმა კატალონიის სიამაყე მას ანდეს და არც შემცდარან — ამ სეზონში „ბარსა“ პრიმერადივიზიონს ლიდერობს*



კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში შინ „მილანს“ 2:1 მოუგეს. ამ მატჩის შესახებ რაიკარდმა თქვა, შემტევმა ფეხბურთმა დაჯაბნა პრაგმატულიო და ისიც აღნიშნა, მეც სიამოვნებით ვითამაშებდიო.

შარშანდელი სეზონის დასაწყისში ჰოლანდიელს საქმე არ აეწყო. გუნდი ცხრილის შუაში ტივტივებდა. ჯერ „მალაგასთან“ შერცხვა — 1:5 წააგო, მერე კი 20 წლის განმავლობაში „კამპ ნოუზე“ პირველად დამარცხდა. „ჩვენ მაშინ კარგი ფეხბურთელები გვყავდა — გაიხსენა რაიკარდმა — მაგრამ ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა ფონს გასვლას, ამიტომაც გუნდური თამაში არ გამოგვდიოდა“.

2004 წლიდან „ბარსელონა“ დაიქოქა და საბოლოოდ სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა. გასულ ზაფხულს ხუან ლაპორტამ ქისა გახსნა და რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინა. „ამ გუნდის შენება ერთი წლის წინ დავიწყე. გაზაფხულზე თამაში გამოვასწორეთ, ზაფხულში კი კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ, რომელთა შერჩევაზეც მე და ჩიკი ბეგირისტაინი დიდხანს ვმუშაობდით“ — თქვა ჰოლანდიელმა.

რაც შეეხება სატრანსფერო პოლიტიკას, ამის თაობაზე ფრანკ რაიკარდმა თქვა, მხოლოდ ტრანსფერებზე კი არა, თამაშის დროს შეცვლებზეც რჩევების მიღებას არ ვთაკილობო: „ჩვენ გუნდური მუშაობის პრინციპი გვაქვს. ერთი თავი კარგია, ორი — უკეთესი. ნებისმიერ მწვრთნელს ფეხბურთის საკუთარი ხედვა აქვს, მაგრამ როცა ახალ გუნდში მიდიხარ, იქაურ ფილოსოფიას კარგად უნდა გაეცნო. ისეთი მოთამაშეები მყავს, რომ მატჩის მსვლელობისას ბევრი რამის შეცვლა შემიძლია, თუმც ვცდილობ, ყველაფერი „ბარსელონას“ სათამაშო ყაიდას მოვარგო. კატალონიელი ქომაგები შემტევ ფეხბურთს ეტრფიან, რაც მწვრთნელის შრომას ართულებს, მაგრამ ამ პრინციპს ვერ ვუღალატებთ. თავადაც ხომ შეტევის მოტრფიალე ვარ“.

„თავი განსაკუთრებულად არასოდეს მიმაჩნდა, მაშინაც კი, როცა „აიაქსის“ ან „მილანის“ მაისურით ჯილდოებს ვიგებდი — განაცხადა ჰოლანდიელმა — ვაღიარებ, რომ რონალდინიო განსაკუთრებულია. „ბარსელონას“ თამაში მასზეა აწყობილი დ ბრაზილიელი საფეხბურთო აზროვნებით აშკარად ყველასგან გამორჩეულია. რონალდინიო შესანიშნავი ადამიანია, რომელიც გუნდისთვის შრომობს და თავის ნიჭს საერთო საქმისთვის ხარჯავს“.

**გაჟა ხუციშვილი**

### სლოვაკეთი

I ლიგა. XV ტური

ბანსკა ბისტრიცა — დუბნიცა 3:0; ინტერი — ტრენჩინი 1:2; ტრნავა — სობოტა 1:1; ჟილინა — რუჟომბეროკი 6:0; პეტრჟალკა — პუხოვი 4:0

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XIV ტური

ბადენი — ბელინცონა 1:1; სიონი — შო დე ფონი 2:0; ვოლენი — კიასო 2:1; ლუცერნი — იუვენტუსი 3:1; ივერდონი — მეირინი 2:1; ბულე — კრინსი 1:1; კონკორდია — ვინტერთური 1:1; ლუგანო — ვადუცი 0:1; ვილი — ბოლმი 0:0

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXXV ტური

შემროკი — სენტ პატრიკსი 3:1; ბოჰემიანსი — დუბლინი 4:0; დროჰედა — კორკ სიტი 1:3; შელბურნი — უოტერფორდი 2:1; დერი სიტი — ლონგფორდი 0:0

### ინგლისი

ასოციაციის თასი

II ეტაპის წილისყრა

ნორთჰემპტონი — ბერი; ჰალიფაქსი — ჩესტერი; სტოკპორტი — სუონსი; ბლეკპული — პორტ ვეილი; რაშდენი — მენსფილდი ან კოლჩესტერი; ფორესტ გრინი ან ბორნმუთი — როვერსი ან კარლაილი; ჰინკლი — ბრისტოლი ან ბრენტფორდი; კემბრიჯი — დონსი; სუინდონი — ნოტსი; ჰალი — ალფრეტონი ან მაკლსფილდი; უიკომბი — ლუტონი; სლოუ — იფინგი; სკანთორპი — რექსემი; ჰისტონი — დარლინგტონი ან იოვილი; სტივენეიჯი — როჩდეილი; ჰარტლპული — ალდერშოტი; ოლდემი — ლეიტონი; ჰერეფორდი — ბოსტონი; პიტერბრო — ბათი; ექსეტერი — დონკასტერი

*მატჩები გაიმართება 4-5 დეკემბერს*

### დანია

I დივიზიონი. XIII ტური

ბრიონსჰიოი — სონდერიულანდი 1:1; დალუმი — ჰელერუპი 2:6; აკადემისკი — იოლსტიკე 5:1; ბ-93 კოპენჰაგენი — ნესტვედი 2:3; ფრემადი — ფრემი 0:0; ჰორსენსი — კიოგე 1:0; ნიკიობინგი — ფრედერისია 1:3; ვაილე — სკიოლდი 0:0

### ბრაზილია

სერია A. XLI ტური

ატლ. პარანაენსე — კრისიუმა 5:4; ატლ. მინეირო — ფლამენგო 0:1; გუარანი — ვიტორია 0:0; ვასკუ და გამა — სან პაულუ 0:0; სანტოსი — გოიასი 2:1; პაისანდუ — პარანა 1:1; ჟუვენტუდე — ინტერნასიონალი 2:3; ფიგეირენსე — პალმეირასი 0:1; სან კაეტანო — კრუზეირო 4:1; ბოტაფოგო — კურიტიბა 4:1; კორინთიანსი — ფლუმინენსე 1:1; გრემიო — პონტე პრეტა 6:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. პარანაენსე | 41 | 23 | 9 | 9 | 81:47 | 78 |
| სანტოსი | 41 | 23 | 7 | 11 | 91:55 | 76 |
| სან კაეტანო | 41 | 22 | 8 | 11 | 61:36 | 74 |
| პალმეირასი | 41 | 21 | 11 | 9 | 67:40 | 74 |
| სან პაულუ | 41 | 21 | 9 | 11 | 67:38 | 72 |
| ჟუვენტუდე | 41 | 19 | 9 | 13 | 57:58 | 66 |
| გოიასი | 41 | 19 | 8 | 14 | 75:63 | 65 |
| კორინთიანსი | 41 | 16 | 14 | 11 | 42:48 | 62 |
| პონტე პრეტა | 41 | 17 | 7 | 17 | 37:66 | 58 |
| ფლუმინენსე | 41 | 15 | 12 | 14 | 59:63 | 57 |
| ინტერნასიონალი | 41 | 16 | 7 | 18 | 58:55 | 55 |
| ფიგეირენსე | 41 | 14 | 12 | 15 | 49:51 | 54 |
| კურიტიბა | 41 | 13 | 15 | 13 | 44:43 | 54 |
| კრუზეირო | 41 | 15 | 8 | 18 | 61:69 | 53 |
| ვასკუ და გამა | 41 | 13 | 11 | 17 | 58:59 | 50 |
| პაისანდუ | 41 | 12 | 12 | 17 | 49:71 | 48 |
| კრისიუმა | 41 | 12 | 10 | 19 | 54:69 | 46 |
| ბოტაფოგო | 41 | 10 | 16 | 15 | 59:67 | 46 |
| ატლ. მინეირო | 41 | 10 | 16 | 15 | 55:63 | 46 |
| ვიტორია | 41 | 12 | 9 | 20 | 63:72 | 45 |
| პარანა | 41 | 12 | 9 | 20 | 46:68 | 45 |
| ფლამენგო | 41 | 11 | 12 | 18 | 42:49 | 45 |
| გუარანი | 41 | 8 | 16 | 17 | 35:48 | 40 |
| გრემიო | 41 | 9 | 11 | 21 | 56:68 | 38 |

### მექსიკა

აპერტურა. XVI ტური

ხაგუარესი — ტოლუკა 1:3; ამერიკა — კრუზ ასული 2:1; პუებლა — ვერაკრუსი 0:0; მონტერეი — პაჩუკა 4:1; გვადალახარა — ტეკოსი 2:2; სინალოა — ატლასი 0:1; ნეკაქსა — ატლანტე 1:1; მორელია — უნამი 0:0; სანტოს ლაგუნა — ტიგრესი 2:1

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. XV ტური

პრიმორიე — ნოვა გორიცა 2:3; დომჟალე — ცელიე 2:0; ბელა კრაინა — პტუი 2:3; მურა — ოლიმპია 1:1; ლიუბლიანა — კოპერი 2:0; მარიბორი — ზაგორიე 2:0

## ამხანაგური მატჩი. 17 ნოემბერი

## იტალია — ფინეთი

### იტალია

*მეკარეები: ივან პელიცოლი (რომა), ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი);*

*მცველები: ანდრეა ბარძალი (პალერმო), დანიელე ბონერა (პარმა), ჯორჯო კიელინი (ფიორენტინა), მარკო მატერაცი (ინტერი), ალესანდრო პარიზი (მესინა), კრისტიან ძაკარდო (პალერმო);*

*ნახევარმცველები: სიმონე ბარონე (პალერმო), მანუელე ბლაზი (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), აიმო დიანა (სამპდორია), მაურო ესპოზიტო (კალიარი), სტეფანო მაური (უდინეზე);*

*თავდამსხმელები: ანდრეა კარაჩოლო (ბრეშა), ფაბრიციო მიკოლი (ფიორენტინა), ვინჩენცო მონტელა (რომა), ლუკა ტონი (პალერმო)*

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# მე დავიბრუნებ სიყვარულს

## რობერტო კარლოსი: კამაჩოს დარჩენა ვთხოვე

*მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი გალაქტიკო რობერტო კარლოსი „ბერნაბეუს“ ფანობამ ხოსე ანტონიო კამაჩოსადმი უდიერი დამოკიდებულებისთვის აითვალწუნა. კამაჩოს წასვლიდან ორი თვის შემდეგ კი მადრიდულ „ასსთან“ ინტერვიუში ის საპირისპიროს ამტკიცებს — ბრაზილიელი მცველი კამაჩოს თურმე არწმუნებდა, მიუხედავად წარუმატებლობისა, „რეალის“ თავკაცობაზე ხელი არ აელო. კარლოსი „ოქროს ბურთის“ მთავარ ფავორიტად ბარსელონელ რონალდინიოს მიიჩნევს, თუმც „ბარსა“ — „რეალის“ მოახლოევებულ დერბიში მადრიდელთა გამარჯვებისა ეიმედება.*



— ხოსე ანტონიო კამაჩოს წასვლის შემდეგ ქომაგები ალმაცერად გიყურებენ...

— გულშემატკივართა დაფასება არ დამიკარგავს, ქუჩაში ყველა ძველებურად მესალმება. ალბათ, ეს გაუგებრობა მადრიდელების კამაჩოსადმი უზარმაზარი პატივისცემის გამო მოხდა, მას მადრიდში უბრალოდ თაყვანს სცემენ... დღეს „რეალში“ კამაჩოს დაბრუნება რომ დააპირონ, მისი პირველი მხარდამჭერი მე ვიქნები. თავად მწვრთნელმა განაცხადა, რობერტო კარლოსთან სადავო არაფერი მაქვსო.

— რა გითხრათ კამამ იმ დღეს, როცა „რეალიდან“ წასვლა გადაწყვიტა?

— ძალზე სევდიანი ჩანდა, ამიტომ მოწყენის მიზეზზე დავეკითხე. მითხრა, რომ სამუშაობს სათანადო ყურადღებას ველარ უთმობდა და „რეალის“ მიტოვება ჰქონდა განზრახული. „მოითმინე, მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. ბიჭებს ვესაუბროთ, მათ ვეტყვი, რომ შენს სამუშაობს უფრო გაგებით მოეკიდნონ“ — აი, ასეთი იყო ჩემი პასუხი. მაგრამ კამაჩომ უარით გამისტუმრა — „არა რობერტო, უკეთესია ისევ ჩემამდელი ფეხბურთი ითამაშოთ და უსიამოვნებები არ შეგხვდეთ.“

— მოდით, მწვრთნელის სიფიცხესთან დაკავშირებული ის სკანდალური ფრაზაც გავიხსენოთ, რომელიც, სავარაუდოდ, თქვენ გეკუთვნით: „თუ განრისხებული კამაჩო მაგიდას ხელს დაარტყამს ან ხელს მოატეხს ან მაგიდას დაამსხვრევს, სხვას კი ვერაფერს შეცვლ...“

—მისმინეთ, მე ადრე თუ გვიან მწვრთნელი უნდა გავხდე და მუშაობის სტილი ზუსტად ხოსე ანტონიო კამაჩოს მსგავსი მექნება, ანუ მოვინდომებ, რომ გუნდმა ყველა თამაში მოიგოს. წრეგადასულ საქციელს კი ვერც ჩემსას მოვიწონებ და ვერც სხვისას. წარმოგიდგენიათ, დღეს ვინმე გასახდელში ყვირილითა და ლანძღვით შემოვარდეს და ფეხბურთელებს მაგიდაზე მუშტები ურტყას?

— გულახდილად გვითხარით, საამსეზონოდ „რეალის“ მიტოვებაზე არ გიფიქრიათ?

— ჯერ არსად წავალ. ინჩასობას ის სიყვარული უნდა დავუბრუნო, რომლითაც მთელი 8 სეზონი ბედნიერი ვიყავი. „რეალთან“ გამოთხოვებაზე ტიტულების ხელახლა მოპოვების მერე ვიფიქრებ.

— ჭარბწონიანობა მართლა გაწუხებთ?

— არა, ღმერთმა დამიფაროს. დღეს დილით ავიწონე და 73 კილო ვიყავი.

— კვების რაიმე განსაკუთრებულ რეჟიმს მისდევთ?

— ისეთი არაფერი, ხანდახან ხორცისგან და თევზეულისგან თავს ვიკავებ ხოლმე.

— რას იზამდით მარიანო გარსია რემონის ადგილას რომ იყოთ?

— იგივეს გავაკეთებდი, რასაც „რეალის“ ახლანდელი მწვრთნელი აკეთებს — ლაღი, შემტევი სტილით სამეფო გუნდისთვის გამარჯვების მოტანას და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ოქროს ბურთების“ თავმოყრას. როცა სამწვრთნელო კარიერას დავიწყებ, გუნდში მოიერიშე, ლამაზად მობურთავე და ბრაზილიელი მოთამაშეები მეყოლება. დაცვაში დიდი პასუხისმგებლობაა საჭირო, ხოლო თავდასხმაში, რაც მეტად თავზეხელაღებული იქნები, მით უკეთესი...

— ახლა „რეალს“ რომელი „გალაქტიკო“ აკლია?

— თავდასხმას შევსება არ სჭირდება. დღეს მსოფლიოში საუკეთესო მოიერიშეები გვყავს. „რეალისთვის“ ვისურვებდი ემერსონს ან დავიდსს, ან კიდევ ბარსელონელ ხავის, ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი.

— „სანტოსის“ რობინიოზე რას გვეტყვით?

— რობინიო ბურთის ჯადოქარია. მინდორზეც და მის გარეთაც ბრწყინვალე ბიჭია.

— „ბარსელონასთან“ ჩამორჩენამ „რეალის“ ქომაგთა შორის სამეფო გუნდის რეპუტაცია ფრიად შეარყია...

— კატალონიელებს ძალიან არ ჩამოვრჩებით, მცირე ხანში კი პირველობასაც შევეცილებით, რადგან კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ.

— შაბათს „კამპ ნოუზე“ „ელ კლასიკოა“...

— სანაძლეო რომ დავდოთ, „კამპ ნოუზე“ „რეალის“ მოგებაზე დიდძალ ფულს ჩავალ. საოცარი მატჩი იქნება, რადგანაც ფრანკ რაიკარდი ამჟამად მართლაც ძლიერ გუნდს მეთაურობს. მაგრამ სახელითა და ისტორიით თუ შევადერებთ, „რეალი“ ჯილდოებით და ქარიზმით მეტოქეს სჯობს.

— „ოქროს ბურთის“ თქვენი ფავორიტი დაგვისახელეთ.

— „ოქროს ბურთს“ რონალდინიო მოიგებს. ტიტულების მიხედვით თითქოს ჯილდო დეკუს უნდა გადასცენ, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით რონალდინიო თანაგუნდელზე უკეთესია.




**იტალიის** ჩემპიონატის XI ტურში გამართულ „მესინასა“ და „პალერმოს“ შორის სიცილიურ დერბის, ცნობილმა ესპანურმა გაზეთმა **AS**-მა „მაფიის მატჩი“ უწოდა. ამ სათაურმა სიცილიური კლუბების ხელმძღვანელობა ალაშფოთა და ახლა ორივე მათგანი ესპანურ გაზეთს სასამართლოში უჩივის. დიდი შანსია, **AS**-ს სერიოზული ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრონ.

**ლატვიურმა** „სკონტომ“ ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და ამ მაჩვენებლით მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. რიგელებმა ნორვეგიული „რუსენბორგისა“ და იორდანიული „ალ-ფაირალის“ შედეგი გააუმჯობესეს. მსოფლიო რეკორდსმენი გახდა „სკონტოს“ კაპიტანი მიხაილს ზემლინსკისიც, რომელმაც თოთხმეტივე წარმატებული სეზონი რიგელთა რიგებში გაატარა.

**ფრანგი** ვეტერანი ემანუელ პეტი ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს და ფორმის აღსადგენად ლონდონის „არსენალში“ ვარჯიშობს. „არსენ ვენგერმა იცოდა, რომ სავარჯიშოდ კლუბს ვეძებდი და დახმარება შემომთავაზა. გუნდში ყველა ძალიან თბილად შემხვდა და როდესაც აქაური ატმოსფერო ვნახე, მივხვდი, თუ რატომ თამაშობს „არსენალი“ ასე კარგად. რაც შეეხება ჩემს სათამაშო ფორმას, ბოლო დღეებში ორმაგი დატვირთვით ვვარჯიშობ და ნელ-ნელა სათანადო კონდიციებს ვუახლოვდები“ — განაცხადა პეტიმ. აღსანიშნავია, რომ ფრანგით „ბორდო“, „ლიონი“, „ფულემი“, „ბოლტონი“, „კრისტალ პალასი“ და „ოლიმპიაკოსი“ არიან დაინტერესებულნი.

**ესპანური** „რეალის“ ახალგაზრდა ნახევარმცველი ბორხა ფერნანდესი დაახლოებით ერთი თვე ველარ ითამაშებს. ფეხბურთელი სამეფო თასზე „ტენერიფესთან“ მატჩში დაშავდა, ხოლო დაწვრილებითმა გაშუქებამ აჩვენა, რომ ტრავმა უფრო სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. მადრიდელი ექიმების 23 წლის ბორხას 5 კვირის მანძილზე უმკურნალებენ. სამაგიეროდ, თითქმის ბოლომდე მომჯობინდა ფერნანდო მორიენტესი და იგი „ბარსელონასთან“ მატჩისთვის მზად იქნება.

**რუსული** „ლოკომოტივის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფრანსისკო ლიმამ იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „რომაში“ დაბრუნება სურს. „მოსკოვში ბრწყინვალედ მეპყრობიან, მაგრამ თუ „რომა“ დაბრუნებას მთხოვს, დაუფიქრებლად დავთანხმდები. მზად ვარ, დედაქალაქელთა ნებისმიერი წინადადება განვიხილო. მიეცით ჩემი ტელეფონი ბალდინის და როცა მოიცლის, დამირეკოს“ - თქვა ლიმამ.

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ 30 წლის მცველი დინ რიჩარდსი თითქმის ერთი წელია, მუდმივი თავის ტკივილის გამო მოედანზე არ გასულა. ექიმები ფიქრობენ, რომ ფეხბურთელს შესაძლოა, ტვინის კიბო ჰქონდეს და კიდევ ერთი დაწვრილებითი გამოკვლევის ჩატარებას აპირებენ. ლონდონელთა სპორტულ დირექტორ ფრენკ არნესენეს თქმით, კლუბი რიჩარდსს მძიმე წუთებში არ მიატოვებს და მისი მკურნალობის ყველა ხარჯს თავის თავზე აიღებს, ხოლო თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მინდორზე დაბრუნებისაც ეიმედება.

**იტალიურმა** „ინტერმა“ 100 ათასი დოლარის სანაცვლოდ 15 წლის შვედი ფორვარდი გორან სლავკოვსკი გადაიბირა. პერსპექტიულმა ფეხბურთელმა მილანურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შემდეგ სეზონს იგი „შავ-ლურჯების“ ახალგაზრდულ გუნდში გაატარებს. სლავკოვსკის ხელფასი ჯერჯერობით არ ხმაურდება. აღსანიშნავია, რომ მას შვედეთის ჭაბუკთა ჩემპიონატში 200-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი 2006 წლის მუნდიალის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. „ვთვლი, რომ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის ბოლო დიდი ტურნირი იქნება სანაკრებო დონეზე. თუმცა, ვინ იცის, თუ ჯანმრთელობამ და სურვილმა ხელი შემიწყო, შესაძლოა, გადაწყვეტილება შევცვალო“ — განაცხადა მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა.

**იტალიური** „რომას“ შეძენა რუს ბიზნესმენებს კვლავაც სურთ, თუმც დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობა კომენტარისგან თავს იკავებს. „ამის შანსი კიდევ არსებობს. დაახლოებით ერთი წლის წინანდელი მცდელობა, როგორც იცით, უშედეგოდ დამთავრდა, რომაული კლუბით ამჯერად ვინ არის დაინტერესებული, ჯერჯერობით ვერ გეტყვით“ — აღნიშნა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მენეჯერმა ალექსანდრ ჩერნოვმა.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა შონ რაიტ-ფილიპსმა უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორები მისი „არსენალში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. „ჩემი მამობილი იან რაიტი ლონდონელთა ლეგენდაა, მაგრამ მე არ ვაპირებ მის გზას გავყვე. მინდა, „სიტის“ ლეგენდა გავხდე, რადგანაც მიყვარს ეს გუნდი და არსად წასვლას არ ვაპირებ“ — განაცხადა 21 წლის ფეხბურთელმა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.35 | 3.95 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.74 |
| 18:00 | 2 | მიდლსბრო-ლივერპული | 2.5 | 3.0 | 2.7 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 18:00 | 3 | ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 2.35 | 3.0 | 2.85 | 1.31 | 1.28 | 1.46 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ბოლტონი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 18:00 | 6 | კრ. პალასი-ნიუკასლი | 2.85 | 3.1 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 18:00 | 7 | ევერტონი-ფულემი | 1.75 | 3.25 | 4.4 | 1.13 | 1.25 | 1.86 |
| 20:15 | 8 | პორთსმუთი-სითი | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:05 | 9 | ბლეკბერნი-ბირმინგემი | 2.25 | 3.0 | 3.1 | 1.28 | 1.3 | 1.52 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | **ინგლისი. მეორე ლიგა** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 54 | სუონსი-დარლინგტონი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 78 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 79 | დანდი-ჰიბერნიანი | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 80 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 18:00 | 81 | ჰართსი-მოზერუელი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 82 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.25 | 3.1 | 2.75 | 1.3 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 83 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2.75 | 3.05 | 2.25 | 1.44 | 1.23 | 1.29 |
| | | **გერმანია პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 11 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.5 | 3.8 | 5.6 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| 17:30 | 12 | ჰერტა-ჰანზა | 1.55 | 3.9 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.19 |
| 17:30 | 13 | ლევერკუზენი-შალკე | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 17:30 | 14 | მაინცი-ბოხუმი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:30 | 15 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1.3 | 4.65 | 8.2 | 1.01 | 1.12 | 2.96 |
| 17:30 | 16 | არმინია-ვერდერი | 2.85 | 3.0 | 2.4 | 1.46 | 1.3 | 1.33 |
| 17:30 | 17 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1.5 | 3.8 | 5.6 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 18 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.4 | 3.0 | 2.85 | 1.33 | 1.3 | 1.46 |
| 19:30 | 19 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ)** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 795 | ფოიხტი-ვეენი | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| | | **ავსტრია ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 117 | აუსტრია-გრაცერი | 1.65 | 3.6 | 4.2 | 1.13 | 1.18 | 1.93 |
| 20:00 | 118 | მატერსბურგი-ბრეგენცი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 119 | პაშინგი-ტიროლი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 20:00 | 120 | შტურმი-ზალცბურგი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 121 | ადმირა-რაპიდი | 4.5 | 3.7 | 1.6 | 2.03 | 1.18 | 1.11 |
| | | **ავსტრია. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 122 | ვიორგლი-კერნტენი | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |
| | | **საფრანგეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 169 | მონაკო-სოშო | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 23:00 | 170 | პსჟ-ლიონი | 2.55 | 2.9 | 2.7 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 171 | ლანსი-ლილი | 2.6 | 2.8 | 2.7 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 172 | სტ.ეტიენი-რენი | 2.15 | 2.9 | 3.4 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 22:00 | 173 | სტრასბური-ოსერი | 2.8 | 2.75 | 2.6 | 1.38 | 1.34 | 1.33 |
| 22:00 | 174 | ტულუზი-ბასტია | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 22:00 | 175 | ნანტი-ბორდო | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 176 | აიაჩო-მარსელი | 3.1 | 3.0 | 2.25 | 1.52 | 1.3 | 1.28 |
| 22:00 | 177 | კაენი-ნიცა | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 178 | ისტრი-მეცი | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:25 | 245 | ბლშანი-სლავია | 3.6 | 3.3 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 19:00 | 246 | სიგმა-ოპავა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 247 | სპარტა-იაბლონეცი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 248 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1.7 | 3.2 | 4.6 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 19:00 | 249 | ბანიკი-დრნოვიცე | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 19:00 | 250 | ბოლესლავი-ბრნო | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 251 | პრჟიბრამი-სლოვაცკო | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 252 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 329 | სომხეთი-რუმინეთი | 8.0 | 4.2 | 1.35 | 2.75 | 1.15 | 1.02 |
| 19:00 | 330 | რუსეთი-ესტონეთი | 1.25 | 5.0 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.27 |
| 19:30 | 331 | მაკედონია-ჩეხეთი | 8.0 | 4.1 | 1.35 | 2.71 | 1.15 | 1.01 |
| 20:00 | 332 | კვიპროსი-ისრაელი | 3.5 | 3.25 | 1.95 | 1.68 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 333 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 8.2 | 4.5 | 1.3 | 2.9 | 1.12 | 1.0 |
| 21:00 | 334 | საქართველო-დანია | 4.7 | 3.25 | 1.65 | 1.92 | 1.22 | 1.09 |
| 21:30 | 335 | თურქეთი-უკრაინა | 1.75 | 3.1 | 4.7 | 1.11 | 1.27 | 1.86 |
| 21:30 | 336 | მალტა-უნგრეთი | 9.0 | 5.1 | 1.25 | 3.25 | 1.09 | 1.0 |
| 22:00 | 337 | ლუქსემბურგი-პორტუგალია | 18.0 | 8.0 | 1.01 | 5.53 | 1.0 | 1.0 |
| 22:15 | 338 | ბელგია-სერბეთი | 2.1 | 3.1 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| 22:30 | 339 | სან მარინო-ლიტვა | 16.0 | 7.0 | 1.1 | 4.86 | 1.02 | 1.0 |
| 22:30 | 340 | ანდორა-ჰოლანდია | 18.0 | 8.0 | 1.02 | 5.53 | 1.0 | 1.0 |
| 22:30 | 341 | საბერძნეთი-ყაზახეთი | 1.1 | 7.5 | 16.0 | 1.0 | 1.02 | 5.1 |
| 23:45 | 344 | ეკვადორი-ბრაზილია | 4.9 | 3.25 | 1.65 | 1.95 | 1.23 | 1.09 |
| 23:45 | 345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:45 | 346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.15 | 5.5 | 15.0 | 1.0 | 1.06 | 4.02 |
| 23:45 | 347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.35 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.48 |
| 23:45 | 348 | პერუ-ჩილე | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 367 | ირლანდია-ხორვატია | 2.0 | 3.2 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 23:30 | 368 | ავსტრალია-ნორვეგია | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.45 | 1.25 | 1.35 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 369 | სლოვაკეთი-სლოვენია | 2.1 | 3.05 | 3.25 | 1.14 | 1.27 | 1.57 |
| 23:00 | 370 | საფრანგეთი-პოლონეთი | 1.4 | 3.65 | 7.4 | 1.01 | 1.17 | 2.44 |
| 22:30 | 371 | იტალია-ფინეთი | 1.3 | 4.2 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 2.86 |
| 22:45 | 372 | გერმანია-კამერუნი | 1.55 | 3.4 | 5.7 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 23:00 | 373 | შოტლანდია-შვედეთი | 3.4 | 3.15 | 2.0 | 1.63 | 1.25 | 1.22 |
| 23:45 | 374 | ესპანეთი-ინგლისი | 2.15 | 3.0 | 3.3 | 1.25 | 1.3 | 1.57 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 375 | რუსეთი(21)-ესტონეთი(21) | 1.05 | 7.5 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.0 |
| 15:00 | 376 | მალტა(21)-უნგრეთი | 5.0 | 3.85 | 1.5 | 2.17 | 1.15 | 1.07 |
| 15:30 | 377 | კვიპროსი(21)-ისრაელი(21) | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 378 | სომხეთი(21)-რუმინეთი(21) | 4.5 | 3.6 | 1.6 | 2.0 | 1.18 | 1.1 |
| 17:15 | 379 | საბერძნეთი(21)-ყაზახეთი(21) | 1.1 | 6.5 | 13.0 | 1.0 | 1.01 | 4.33 |
| 20:00 | 380 | საქართველო(21)-დანია(21) | 3.7 | 3.25 | 1.75 | 1.73 | 1.18 | 1.13 |
| 21:00 | 381 | თურქეთი(21)-უკრაინა(21) | 1.85 | 3.2 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.7 |
| 21:00 | 382 | ლუქსემბურგი(21)-პორტუგალია(21) | 8.0 | 8.0 | 1.02 | 5.53 | 1.0 | 1.0 |
| 21:45 | 383 | გერმანია(21)-პოლონეთი(21) | 1.35 | 4.1 | 7.0 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 22:00 | 384 | ბელგია(21)-სერბეთი(21) | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 385 | სან მარინო(21)-ლიტვა(21) | 10.0 | 5.0 | 1.2 | 3.33 | 1.07 | 1.0 |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 386 | მაკედონია(21)-ჩეხეთი(21) | 7.0 | 4.1 | 1.35 | 2.58 | 1.13 | 1.01 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 796 | ტორინო-საპდორია | 2.6 | 2.8 | 2.6 | 1.34 | 1.29 | 1.34 |
| 19:00 | 797 | რომა-სიენა | 1.6 | 3.35 | 4.85 | 1.08 | 1.2 | 1.98 |
| 23:00 | 798 | ატალანტა-იუვენტუსი | 3.75 | 3.15 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.16 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 799 | ლეჩე-უდინეზე | 2.3 | 3.15 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.45 |
| 19:00 | 800 | ფიორენტინა-პარმა | 1.7 | 3.2 | 4.45 | 1.11 | 1.23 | 1.86 |
| 23:00 | 801 | პალერმო-მილანი | 2.9 | 2.9 | 2.3 | 1.45 | 1.28 | 1.28 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 802 | კალიარი-ლაციო | 1.95 | 3.1 | 3.45 | 1.19 | 1.24 | 1.63 |
| 23:00 | 803 | ინტერი-ბოლონია | 1.5 | 3.35 | 6.4 | 1.03 | 1.21 | 2.19 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 500 | მოდო-მორა | 1.4 | 4.8 | 4.1 | 1.08 | 1.04 | 2.21 |
| 21:00 | 501 | იურგორდენი-ლულეო | 1.75 | 4.4 | 2.9 | 1.25 | 1.09 | 1.74 |
| 21:00 | 502 | ფერიესტადი-ჰვ 71 | 1.85 | 4.2 | 2.7 | 1.28 | 1.09 | 1.64 |
| 21:00 | 503 | ფრიოლუნდა-მალმიო | 1.3 | 4.7 | 4.8 | 1.01 | 1.02 | 2.37 |
| 21:00 | 504 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 1.95 | 4.4 | 2.6 | 1.35 | 1.11 | 1.63 |
| | | **ჰოკეი ფინეთი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 514 | ესეტი-ლუკო | 2.0 | 4.3 | 2.4 | 1.36 | 1.09 | 1.54 |
| 19:30 | 515 | ესპოო-ტურკუ | 2.0 | 4.4 | 2.3 | 1.37 | 1.06 | 1.51 |
| 19:30 | 516 | ჰაამეენლინა-კერპეტი | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 19:30 | 517 | სეიპა-იუვესკიულე | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| | | **ჰოკეი ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 531 | ვიტკოვიცე-ტრჟინეცი | 1.8 | 4.4 | 2.7 | 1.27 | 1.08 | 1.67 |
| 19:00 | 532 | ზლინი-ზნოიმო | 1.5 | 4.5 | 3.9 | 1.12 | 1.08 | 2.08 |
| 19:30 | 533 | დუკლა-სპარტა | 3.9 | 4.5 | 1.5 | 2.08 | 1.08 | 1.12 |
| 19:30 | 534 | ვსეტინი-პლზენი | 2.15 | 4.1 | 2.25 | 1.41 | 1.09 | 1.45 |
| 19:30 | 535 | ლიტვინოვი-კლადნო | 1.85 | 4.4 | 2.7 | 1.3 | 1.09 | 1.67 |
| 20:00 | 536 | პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 1.4 | 4.6 | 4.5 | 1.07 | 1.06 | 2.27 |
| 20:00 | 537 | ლიბერეცი-სლავია | 2.1 | 4.0 | 2.3 | 1.37 | 1.09 | 1.46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 551 | მიკულაში-ტრენჩინი | 2.9 | 4.2 | 1.7 | [illegible] | 1.07 | 1.21 |
| 19:00 | 552 | სკალიცა-პოპრადი | 1.95 | 4.1 | 2.6 | 1.32 | 1.04 | 1.59 |
| 19:00 | 553 | სლოვანი-კოშიცე | 1.75 | 4.4 | 3.0 | 1.25 | 1.1 | 1.78 |
| 19:00 | 554 | ზვოლენი-ჟილინა | 1.3 | 4.8 | 5.5 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| | | **ჰოკეი შვეიცარია** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 587 | დავოსი-სერვეტი | 1.6 | 4.4 | 3.1 | 1.17 | 1.05 | 1.81 |
| 21:45 | 588 | ლუგანო-ფრიბურგი | 1.35 | 4.8 | 4.6 | 1.05 | 1.04 | 2.34 |
| 21:45 | 589 | რაპერსვილი-ამბრი | 1.85 | 4.3 | 2.7 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| 21:45 | 590 | ციურიხი-ცუგი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |
| | | **ჰოკეი რუსეთი** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 599 | აკ-დინამო | 2.6 | 4.3 | 1.85 | 1.62 | 1.08 | 1.29 |
| 18:30 | 600 | ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 1.45 | 4.3 | 4.5 | 1.08 | 1.09 | 2.19 |
| 18:30 | 601 | სევერსტალი-მაგნიტოგორსკი | 2.15 | 4.1 | 2.3 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 18:30 | 602 | აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1.75 | 4.15 | 3.0 | 1.23 | 1.1 | 1.74 |
| 18:30 | 603 | ხიმიკი-ავანგარდი | 2.6 | 4.3 | 1.85 | 1.62 | 1.08 | 1.29 |
| 19:00 | 604 | ცსკა-ლადა | 2.25 | 4.0 | 2.25 | 1.44 | 1.12 | 1.44 |
| 16:30 | 605 | მოლოტი-ს.იულაევი | 2.3 | 4.0 | 2.2 | 1.46 | 1.12 | 1.41 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%


## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14332 | კვიპროსი-ისრაელი | 2.2 | 1.7 |
| 14335 | თურქეთი-უკრაინა | 1.65 | 2.3 |
| 14338 | ბელგია-სერბეთი | 1.8 | 2.0 |
| 14344 | ეკვადორი-ბრაზილია | 2.4 | 1.6 |
| 14345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.7 | 2.2 |
| 14346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.25 | 3.1 |
| 14347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.3 | 3.0 |
| 14348 | პერუ-ჩილე | 1.75 | 2.1 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11332 კვიპროსი-ისრაელი | 5.6 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11335 თურქეთი-უკრაინა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11338 ბელგია-სერბეთი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11344 ეკვადორი-ბრაზილია | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11345 ურუგვაი-პარაგვაი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11346 არგენტინა-ვენესუელა | 1.7 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11347 კოლუმბია-ბოლივია | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11348 პერუ-ჩილე | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15332 კვიპროსი-ისრაელი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15335 თურქეთი-უკრაინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15338 ბელგია-სერბეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15344 ეკვადორი-ბრაზილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15345 ურუგვაი-პარაგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15346 არგენტინა-ვენესუელა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15347 კოლუმბია-ბოლივია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15348 პერუ-ჩილე | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13332 | კვიპროსი-ისრაელი | 1.7 | 1.9 |
| 13335 | თურქეთი უკრაინა | 1.7 | 1.9 |
| 13338 | ბელგია-სერბეთი | 1.65 | 2.0 |
| 13344 | ეკვადორი-ბრაზილია | 1.65 | 2.0 |
| 13345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.7 | 2.0 |
| 13346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.8 | 1.8 |
| 13347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.7 | 1.9 |
| 13348 | პერუ-ჩილე | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12332 | კვიპროსი-ისრაელი | 1.75 | 1.85 |
| 12335 | თურქეთი-უკრაინა | 1.8 | 1.8 |
| 12338 | ბელგია-სერბეთი | 1.7 | 1.9 |
| 12344 | ეკვადორი-ბრაზილია | 1.65 | 2.0 |
| 12345 | ურუგვაი-პარაგვაი | 1.65 | 2.0 |
| 12346 | არგენტინა-ვენესუელა | 1.65 | 2.0 |
| 12347 | კოლუმბია-ბოლივია | 1.65 | 2.0 |
| 12348 | პერუ-ჩილე | 1.7 | 1.9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომე პასი!

## მწვრთნელს საფრანგეთშიც ემდურიან

*საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე მეცხრე ტური მიილია, მაგრამ „შალონის“ გოლიათი ქართველი სერგო ათუაშვილი ჯერაც სკამზე ზის. შალონელებს 223-სანტიმეტრიანი ქართველი ცენტრი ძირითადი გუნდის განაცხადში მე-12 კაცად ჰყავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ განაცხადის შესავსებად, ასე რომ დუბლიორთა გუნდში თამაშით თუ მოაწონებს უფროსობას თავს. თუმც დუბლშემადგენლობაში მასზე ყოჩაღად მეორე ქართველი დავით საყვარელიძე გამოიყურება. როგორც საყვარელიძე ამბობს, დუბლიორთა გუნდში მისი და სერგოს შედარებითი პასიურობა მწვრთნელის არაკომპეტენტურობის ბრალია და იგივე აზრისაა „შალონის“ საქმეთგამრიგე. გუშინ საყვარელიძეს შალონში რომ შევეხმიანეთ, ათუაშვილის ამბებიც გამოვკითხეთ...*

— სერგო ახლა ცუდ ხასიათზეა, რადგან „შალონის“ ძირითად გუნდში მის დებიუტს საშველი არა და არ დაადგა.

— არადა, ათუაშვილზე მაღალი მოთამაშე საფრანგეთის ჩემპიონატში არ მოიძებნება...

— ჰოდა, მით უფრო გასაკვირია, რომ შალონელები ასეთ უპირატესობაზე უარს ამბობენ და სერგოს თამაშის შანსს არ აძლევენ. ძნელია, გამოუცდელმა კალათბურთელმა ბევრი სათამაშო დრო მოითხოვო, მაგრამ 2-3 წუთით მაინც რომ შეიყვანონ მოედანზე, ალბათ არაფერი დაშავდება. არადა, „შალონს“ სწორედ ცენტრის პოზიციაზე უჭირს. მთავარი მეფარე მხოლოდ ორმეტრიანია და „შალონს“ თუ ისეთი მეტოქე შეხვდება, რომელსაც ტანმაღალი ცენტრი ჰყავს, საქმე ცუდად მისდის. სერგოსთან ერთად „შალონს“ კიდევ ერთი გამოუცდელი ცენტრი ჰყავს, რომელსაც სიმაღლე არ აკლია, მაგრამ იმ დღეს რომ ათამაშეს, ყველაფერი გააფუჭა. ალბათ ეს რომ ახსოვთ, იმიტომ არ რისკავენ ათუაშვილის მოედანზე შეყვანას. მაგრამ ფაქტია, ადრე თუ გვიან სერგო შალონელთა ძირითადი ცენტრი გახდება.

— ალბათ დუბლიორთა გუნდშიც ვერაა სათანადო დონეზე და ამიტომ არ ენდობიან ძირითადში...

— არათუ სერგო, დუბლიორთა გუნდიდან თითქმის ვერავინ ვერაა სათანადო დონეზე, რადგან მწვრთნელი არ გვივარგა. სათითაოდ ყველა მოთამაშე კარგია, მაგრამ ერთიანობა გვაკლია და ცხრა მატჩიდან უკვე ექვსში დავმარცხდით.

— მწვრთნელის უვარგისობა ალბათ შენი აზრია...

— არა, ყველა მოთამაშე ემდურის მწვრთნელს და იმ დღეს იგივე თქვა გენერალურმა მენეჯერმა, რომელიც ქალი გახლავთ და გუნდს უფრო მენეჯმენტის საკითხებში უძღვება. ამ მწვრთნელს ალბათ მალე გაუშვებენ და მერე, იმედია, ჩვენც უკეთ ავთამაშდებით.

— ახლა კონკრეტულად რა გიჭირთ, რას ემდურით?

— ბევრსაც არაფერს, ჩვენსას მაინც ვაკეთებთ. ეგაა, გუნდს შეთამაშება აკლია და შეიძლება მოედანზე მთელი მეოთხედი ისე გატარო, პასი ერთი-ორჯერ მიიღო. ეს უფრო სერგოზე ითქმის, რაც გენერალურმა მენეჯერმაც აღნიშნა. მან სერგოს უთხრა, მერე რა, რომ პასს არ გაძლევენ, შენ შენი სცადე, მიდექი, მოდექი და ბურთი მოიპოვეო. პასს რომ იშვიათად იღებ, ეგ ისევ და ისევ შენი ბრალიაო. დაახლოებით იგივე მითხრა მეც.

— შედეგიანობა როგორი გაქვთ?

— არც შედეგიანობას ვუჩივით, მაგრამ მწვრთნელის გაუმართავი ტაქტიკის გამო ჩვენს თამაშს მარილი აკლია და იშვიათად ვიგებთ.

— მაგალითად, ბოლო მატჩში რამდენი ქულა გააკეთე?

— სამი ტურის წინ ფეხი ვიტკინე და ორი მატჩი გამიცდა. ამიტომაც ბოლო მატჩში მწვრთნელმა ცოტა მათამაშა და მხოლოდ 10 ქულა და 5 მოხსნა გავაკეთე.

— შენი აზრით, ეგ ცოტაა?

— ზოგადად არც 20 წუთია ცოტა — ამდენი ბოლო ტურში ვითამაშე, მაგრამ მე გაცილებით მეტ დროს ვატარებ მოედანზე და შესაბამისად საშუალო შედეგიანობაც გაცილებით მაღალი მაქვს.

— „შალონის“ ძირითად გუნდში გადასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი?

— მწვრთნელთან ამის თაობაზე არ მილაპარაკია, რადგან მინდა, ჯერ საქმით დავამტკიცო, რომ გაცილებით მეტს ვიმსახურებ. ახალი წლის შემდეგ კი ისედაც უნდა განსაზღვრონ, რას მიპირებენ — ისევ დუბლებში მათამაშებენ, ძირითად გუნდში გადამიყვანენ თუ საერთოდ სხვაგან გამიშვებენ.

— ისე, შენი გადასაწყვეტი რომ იყოს, „შალონში“ დარჩებოდი თუ სხვაგან გადახვიდოდი?

— აქ უკვე ყველას ვიცნობ, ქალაქსაც შევეგუე და თან სერგოსთან ერთად ვარ. სხვაგან გადაბარგებას ისევ აქ ყოფნა მიჯობს.

— შალონს შევეგუეო და ხშირად სეირნობ ქალაქში?

— კი ვსეირნობ, მაგრამ როცა თავისუფალი დრო გვაქვს, მე და სერგო უფრო ხშირად დიჟონში მივდივართ, რომელიც აქვეა, საათის სავალზე. დიჟონში ახლა ვიქტორ სანიკიძის ძმა ზურაც ჩამოვიდა და კარგად ვერთობით ხოლმე.

**ირაკლი პერტაია**



დავით საყვარელიძე

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ნდომბის ფაქტორი იზრდება

### ბზდელიკმა ცქიტიშვილს თავი დაანებ...

ბზდელიკმა ცქიტიშვილს თავი დააცვევინა



REUTERS მაიამიჰერალდ

შაკილ ონილს მილუოკელებთან დიდი ჭაფა დაადგა

14 ნოემბერი

**მაიამი 112:110 მილუოკი**

ძირითადი დრო: 93:93

მაიამი: დ. ჯონსი (14), ე. ჯონსი (19), ბატლერი (17), ჰეისლიმი (14 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (19 ქულა, 18 მოხსნა); პერსონი (9), ალენი (8), დულინგი (6), დოლიკი (4)

მილუოკი: უილიამსი (18 ქულა, 10 პასი), რედი (21 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), ვან ჰორნი (26 ქულა, 15 მოხსნა), სმიტი (16 ქულა, 11 მოხსნა), გაძურიჩი (8); მეისონი (17), სანტიაგო (4), სტრიკლენდი

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**საკრამენტო 101:89 დენვერი**

საკრამენტო: ბიბი (20), კრისტი (7), სტოიაკოვიჩი (22), ვებერი (10), მილერი (26); სონგაილა (10), ჯექსონი (6), ბარნსი, ოსტერტაგი, მარტინი, ევანსი, დანიელსი

დენვერი: მილერი (5), ბაკნერი (4), ენტონი (28), მარტინი (10), ელსონი (2); ვაიტი (14), ჯონსონი (10), რასელი (9), ბოიკინსი (5), *ცქიტიშვილი* (13 წუთი, 2 ქულა, 5 მოხსნა, 1 დაფარება)

**ვაშინგტონი 113:122 დალასი**

ვაშინგტონი: ჰიუზი (23), ჯემისონი (23), ჰეიდი (20), არენასი (20)

დალასი: ნოვიცკი (32 ქულა, 13 მოხსნა), სტეკჰაუზი (28)

**ფილადელფია 96:87 ორლანდო**

ფილადელფია: აივერსონი (28 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

ორლანდო: ჰილი (18), ფრენსისი (14), თურქოღლუ (14)

**სიეტლი 118:113 მემფისი**

სიეტლი: ალენი (34), დანიელსი (28), ლუისი (14 ქულა, 12 მოხსნა)

მემფისი: გასოლი (25), მილერი (18)

მეორე თამაში და მეორე იმედგაცრუება? მთლად ასეც ვერ ვიტყვით ნიკა ცქიტიშვილზე, რომელმაც მსუბუქი ტრავმის გამო სეზონის ხუთი საწყისი მატჩის გამოტოვების შემდეგ მეორედ ითამაშა, ამჯერად 13 წუთი და სეზონის პირველი ქულებიც მიითვალა — 13 წუთში 2 ქულა. ცქიტიშვილი გაცილებით სარგებლიანი იყო საკუთარ ნახევარზე — ხუთი ბურთი მოხსნა და ერთიც დაფარება გააზერხა. ჯეფ ბზდელიკს არა მხოლოდ ცქიტიშვილის გამო აკრიტიკებენ, მის მიმართ სხვა პრეტენზიებიც გაჩნდა — წაგების ეშინია და ამის გამო ცქიტიშვილსა და სხვა სათადარიგოებს მინიმალურად ტვირთავთო. ახლა კი ჩვენებური ალბათ დაცვაში ყოჩაღობის გამო ათამაშა ამდენი ხნით.

„დენვერმა“ კი წააგო, ამ სეზონში უკვე მეხუთედ და ხალხმაც დასკვნების გამოტანა და პარალელების გავლება დაიწყო — „ნაგიტსმა“ მძლავრი კენიონ მარტინი კი შეიმატა, მაგრამ გუნდი ისე უგემურად ირჯება, შარშანდელ შედეგსაც ვერ მიაღწევს და უპლეიოფოდ დარჩებაო. შვიდი თამაშის შემდეგ პანიკის ატეხვა ნაადრევია, მაგრამ დენვერელებს იმაზე დაფიქრებაც მართებთ, რომ ისედაც ძლიერი დასავლეთი უფრო მოლონიერდა და შარშან უპლეიოფოდ დარჩენილი გუნდები, თუნდაც „სიეტლი“ „იუტა“ და „ფინიქსი“ წელს იოლად არავის არაფერს დაუთმობენ.

მეორე ქართველის ზაზა ფაჩულიას „მილუოკის“ კი ჩვენებურის გარდა არავინ შეუმატებია და მაინც ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ტერფმტკივან ფაჩულიას კვლავ არ უთამაშია, „ბაქსმა“ კი კინაღამ მაიამიშივე დაამარცხა შაკილ ონილის „ჰითი“. მასპინძლებს ორი ოვერტაიმი დასჭირდათ ჩრდილოელი მომხდურის წასაქცევად, თანაც პირველ დამატებით ხუთწუთეულში ბოლო წუთზე ოთხ ქულასაც აგებდნენ. „მაიამის“ აკლდა ჯეელი ბომბარდირი დუეინ ვეიდი, ხოლო მილუოკელი მეფარეები, მართალია, ჯარიმებით, მაგრამ მაინც აკავებდნენ დევშაკს. ასე რომ, გმირის როლი სრულიად უცნობმა კეიონ დულინგმა გაითამაშა — პირველი ოვერტაიმის დასრულებამდე ორიოდ წამით ადრე თავხედურად შეიჭრა „ბაქსის“ სამწამიანში და თავისიანები ზედიზედ მესამე მარცხისგან იხსნა.

მეორე ოვერტაიმში კი „მაიამიმ“ თავიდანვე შვიდი უპასუხო ქულა მოიხვეჭა და, მართალია, მასპინძლებს მეტი აღარ ჩაუგდიათ, სამაგიეროდ, არც მეტოქეს მისცეს გაქანება.

ზედიზედ მესამედ მოიგო „დალას მავერიკსმა“, რომელიც ამ ზაფხულს რეორგანიზების საფრთხის პირას იდგა — კლუბის გადარეულ მფლობელ მარკ კუბანს შაკილ ონილის გადმოყვანა აეკვიატებინა და მზად იყო, მის საფასურად ლამის ნახევარი გუნდი დაეთმო. დალასელთა საბედნიეროდ, კუბანმა ეს ავანტიურული სვლა არ გააკეთა და „მავერიკსი“ ისევ ძველი ლიდერის დირკ ნოვიცკის გარშემო ააშენა. შედეგი სახეზე და ცხრილშია — შვიდი გამარჯვება ერთადერთი მარცხის წილ.

გუშინწინ „დალასს“ დიდი ბრძოლა გადახდა ვაშინგტონში. ბოლო მეოთხედამდე არაფერი იყო გარკვეული, მაგრამ უფრო ძლიერმა თავისი გაიტანა — „ვაშინგტონი“ დამარცხდა, თანაც მასპინძელთა ძლევაში ნოვიცკის „ვიზარდსის“ ყოფილი ლიდერი ჯერი სტეკჰაუზი დაეხმარა.

დაჯერება ჭირს, მაგრამ ფაქტია: შარშან უკბილო „სიეტლი“ წელს ყველას ბდღვნის. სადებიუტო მარცხის შემდეგ „ზებგერითებმა“ ზედიზედ მეექვსედ იმარჯვეს, თანაც „მემფისთან“ სასწაული მატჩი გადაარჩინეს. „გრიზლიზი“ მესამე მეოთხედში 21 ქულას, ხოლო მეოთხეს წინ 16-ს უგებდა „სონიქსს“, მაგრამ რეი ალენმა და კომპანიამ ბოლო 12-წუთეული 34:13 გაანადგურეს პაუ გასოლის რაზმი და ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონის კენწეროში ადგილი შეინარჩუნეს.

**კოტე ყორშია**

# ჩემს იარაღს ვერ დავთმობ
## ნინო სალუქვაძე კიდევ გაიმარჯვებს

*ხელიანი ტირის არარსებობაზე საუბარი საქართველოში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო. 90-იან წლებში გერმანიიდან გამოწერილმა ტირის მოწყობილობამ თბილისში შარშანწინდა ჩამოაღწია და წელიწადნახევრიანი ლოდინის შემდეგ როგორც იქნა, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების პერსპექტივაც გამოჩნდა. ვაკეში გუშინწინ გახსნილი ნინო სალუქვაძის სახელობის კლუბი უკვე აქტიურად ამუშავდა და ტყვიის მსროლელთა მომავალი თაობის აღზრდის გარდა უბრალოდ სროლის მოყვარულებსაც ემსახურება. მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს ახალ კლუბში პირველივე სამუშაო დღეს გავესაუბრეთ*





— 10 და 25-მეტრიან ახალ დარბაზებში ბავშვებს პირველი ვარჯიშები უკვე ჩაუტარეს ვახტანგ სალუქვაძემ და გივი ბოსტოლანაშვილმა. საღამოს კი, იმედია, პირველი მოხალისეებიც გამოჩნდებიან. მოგეხსენებათ, ხუთი საათის შემდეგ ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მობრძანდეს და თავისი შესაძლებლობები გამოცადოს.

— აქამდე თქვენც და სხვა სპორტსმენებიც არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ვარჯიშობდით. ახალი კლუბის დაარსების შემდეგ ყველა აქ გადმოვიდა?

— არა. ახალ კლუბში მხოლოდ ვახტანგ სალუქვაძე და გივი ბოსტოლანაშვილი გადმოვიდნენ იმ ბავშვებთან ერთად, რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ. ძველი დარბაზიც ფუნქციონირებს.

— ამჟამად რამდენი სპორტსმენი ვარჯიშობს ახალ ტირში?

— ჯერჯერობით ათამდე ბავშვი ისვრის, თუმც მიღება გრძელდება და მალე მოვარჯიშეთა რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება

— რა ასაკის ბავშვებს იღებთ?

— თორმეტი წლიდან ზემოთ.

— ტყვიის სროლა საკმაოდ ძვირადღირებული სახეობაა. ალბათ მარტო საკუთარი სახსრებით ვერ გასწვდებით.

— საღამოობით მოხალისეთა მოზიდვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც ისაა, რომ მერე ბავშვებისთვის სავარჯიშოდ საჭირო ტყვიები და ინვენტარი შევიძინოთ.

— ტირის პრეზენტაციაზე თქვით, ეგებ მწვრთნელობაც დავიწყოო. როდიდან აპირებთ?

— ჩემი ჯგუფის აყვანაზე ჯერ არ ვფიქრობ. ამას ფიზიკურად ველარ შევძლებ, რადგან გადაწყვეტილი მაქვს, ვარჯიში მეც გავაგრძელო. მწვრთნელობას დროდადრო შევითავსებ, ბავშვებს ჩემი გამოცდილებაც რომ გავუზიარო.

— არმიის სპორტული კლუბის დარბაზი დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებლად გამოუსადეგარი იყო. ახალ ტირში მომზადებით თუ შეიძლება საერთაშორისო წარმატებებზე ფიქრი?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ საზაფხულო ტურნირებისთვის უცხოური შეკრებების გარეშე მაინც ვერ მოვემზადებით. სამწუხაროდ, ღია სასროლეთი საქართველოში ჯერ კიდევ არ გვაქვს.

— და არც უნდა ველოდოთ?

— რეალური ჯერ არაფერია, თუმც გვპირდებიან დიღმის მასივში ახალი სასროლეთის მოწყობას. ეს უმნიშვნელოვანესი საჩუქარი იქნება არა მარტო ქართული სპორტისთვის, არამედ პირადად ჩემთვისაც, რადგან სპორტში ფეხი სწორედ დიღომში ავიდგი.

— ბოლოს ისევ ვაკის ტირს მივუბრუნდეთ. პრეზენტაციაზე ის იარაღები გამოიტანეთ, რომლებითაც თავის დროზე დიდი გამარჯვებები მოიპოვეთ. ეს მხოლოდ გახსნაზე იყო, თუ მსურველებს მომავალშიც შეეძლებათ მათი ხელში აღება?

— ის იარაღები მხოლოდ ერთი დღით დავთმე. ასე ადვილად მათ ვერ შეველევი. ბავშვებს და მოხალისეებს ჩემს მიერ ბოლო წლებში შეგროვებული სხვა პისტოლეტებით ვასროლინებ.

— ახლო მომავალში ახალ ტირში თუნდაც მცირე მასშტაბის ტურნირის ჩატარებას ხომ არ გეგმავთ?

— 8-12 დეკემბერს თბილისის ღია პირველობას ვატარებთ. მასზე ალბთ ქუთაისისა და აზერბაიჯანის გუნდებიც ჩამოვლენ. გვინდა, მცირე ტურნირებს სტაბილური სახე მივცეთ, თვეში ორჯერ მაინც გავმართოთ. ამით მომავალ თაობას დასაოსტატებლად კიდევ უფრო მეტ სტიმულს მივცემთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

დაბლტიეის ჩემპიონატი

ლოს ანჯელესი. ხელოვნური საფარი. საპრიზო 3 მილიონი $

# სად არის ჭეშმარიტება?
## სერენამ ლინდსი კენწეროში დატოვა


მარია შარაპოვა


სერენა უილიამსი

REUTERS

**ნახევარფინალი**

**სერენა უილიამსი (7, აშშ) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:2), 6:4; მარია შარაპოვა (6, რუსეთი) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 2:6, 6:2, 6:2**

ესეც ასე — ყველა რომ ფიქრობდა, ამელი მორესმოს ამჟამინდელი ყუმბარფორმა მას სერენა უილიამსსაც მიაბერტყინებდა და შედეგად ქალთა ამქრის სათავეშიც შეასკუპებდა, ვერ მოგვერთვა. მამა რიჩის უმცროსმა გოგომ, ვინაც მეტოქესთან ერთ სეტს, ხოლო მეორეში 1:3 აგებდა, ბეწვის ხიდზე მობილიზება, ნერვების მოთოკვა და თითქმის ჩაფლავებული მატჩის შემოტრიალება შეძლო. სეზონის პირველოსნად გასრულებაზე მოპრეტენზიე მორესმოს კი — ეს უკვე მერამდენედ — სწორედ მაშინ აუკანკალდა ჩოგანი, როცა ჭეშმარიტების მომენტი დაუდგა. გადამწყვეტ სეტში მან 12 ბრეიკპოინტი ვერ გამოიყენა და სერენასთან მეცხრე დაპირისპირებაში უკვე მერვეჯერ იძლია. ეს კი — სხვა ყველაფერთან ერთად — იმასაც ნიშნავს, რომ სეზონს ქალთა რეიტინგსიის კენწეროში წლეულს შვიდი ტიტულის მომხვეჭი ლინდსი დევენპორტი გაასრულებს, ვინაც, შეგახსენებთ, ადრე ზაფხულში ამბობდა, წლის ბოლოს დიდი ჩოგბურთიდან უნდა წავიდეო.

სეზონის დამაგვირგვინებელი რვაქალა ტურნირის ბედი კი გუშგვიანღამ თუ დღესადრედილით სერენასა და 17 წლის რუსული სექსრიიფრაჟის მაშა შარაპოვას შეხლით უნდა გარკვეულიყო. ფინალისკენ მიმავალი გზა გრძელფეხება მოსკოველმა თანაქალაქელ ანასტასია მისკინას ძლევით გაიკვალა. მისკინას ნამატჩევს დაუჩივლია, დაღლილი ვიყავიო, თუმცა ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — მთავარი ის იყო, რომ შარაპოვამ ნავსის გატეხვა შეძლო და სამი მარცხის შემდეგ მას მეოთხე შეხვედრაში მაინც აჯობა.

შეგახსენებთ, რომ სერენამ და შარაპოვამ წლეულს ორჯერ ითამაშეს და თუკი სერენას მაიამური გამარჯვება აღარავის ახსოვს, ის, თუ როგორ დაჩოგნა ლაწირაკმა რუსმა ბაყვბაყვდევი უიმბლდონობის ფინალში, ალბათ არასდროს არავის დაავიწყდება. თუმცა გუშინწინ სერენა იძახდა, ეგ ფინალი მე არ წამიგია, ეგ სხვა ვიღაც იყოო, რითაც მაშას გულწრფელი გაოცებაც გამოუწვევია. მაგრამ ახლა რომ ამ სტრიქონებს კითხულობთ, მათი ფინალური შეხლა უკვე მომთავრებულია და ეგებ იმას, ორი დღის წინ რაც ითქვა, გახვრეტილი თეთრის ფასის არ ჰქონდეს. ჩვენ კი, ვინც უნდა გაიმარჯვოს, იმის სადღეგრძელოს შესასმელად ჭიქა ყოველთვის ფსკერამდე გვაქვს დაყვანილი. მააშ!

**ლევან ძელაურაძე**

ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

პირველი ეტაპი. მეექვსე ტური

# ხელბურთელებს ლიგა გაუნახევრდათ



**გუნდების** უმეტესობამ ვადამდე გაინაღდა მერვედფინალის საგზური. ჯგუფური ტურნირის დასკვნით ტურში სამიოდე ვაკანსიაღა იყო დარჩენილი.

შეგახსენებთ, ჯგუფებში ორ-ორი საუკეთესო კლუბი პლეი ოფის წესით გააგრძელებს ბრძოლას ყველაზე პრესტიჟული ევროთასისთვის. უქმად არც მესამე ადგილოსნები დარჩებიან — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაზე გადაერთვებიან.

ორ შემთხვევაში სალიგო ადგილის ბედი კონკურენტთა ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა. უკრაინის რვაგზის ჩემპიონმა „ზაპოროჟ-ტრანსფორმატორმა“ ხორვატიის „ზაგრებს“ მის მოედანზე შვიდი ბურთით აჯობა, შინ კი ორგოლიანი სხვაობით დამარცხდა და ბოლო ოთხ სეზონში პირველად გავიდა გათამაშების შემდგომ სტადიაზე.

დანიურმა „კოლდინგმა“ ბოსნიის „იჟვიდაც ლიუბუშკი“ ცხრა ბურთიანი პასივით გაისტუმრა, საპასუხო მატჩი კი მინიმალური სხვაობით დათმო.

ექვსივე ჯგუფური თამაშის მოგება მხოლოდ სამმა კლუბმა შეძლო — ლიგის შარშანდელმა ჩემპიონმა „მონპელიემ“, „ფოტექსმა“ და „სიუდად რეალმა“. ფრანგთა გარდა ტურნირში კიდევ სამი გამარჯვებული გამოდის — „ბარსელონა“, „პორტლენდ სან ანტონიო“ და „პივოვარნა ლაშკო“. ოთხივე კლუბმა დამაჯერებლად გაიკვლია გზა მერვედფინალისკენ.

მეტად უხეიროდ ითამაშეს ერთ დროს ერთიანი იუგოსლავიის წარმომადგენლებმა. პოსტიუგური შეიდეულიდან მხოლოდ თასის ამჟამინდელი მეპატრონეები, სლოვენიელი მელუდეები შემორჩნენ გათამაშებას.

ბომბარდირთა დავაში 54 გოლით „ფოტექსის“ გაუნგრელებული კუბელი ფორვარდი კარლოს ენრიკე პერესი ლიდერობს. წინა ტურნირის მთავარმეგოლე, სლოვენიის მოქალაქეობამიღებული ბელარუსი სერგეი რუტენკა („პივოვარნა“) მას ორით ჩამორჩება.

ყველაზე მრისხანე, ამასთან თანაბარძალოვანი თავდასხმა ჰყავს „კოლდინგს“. დანიელთაგან ყველაზე შედეგიანი, შვედი ლეგიონერი სებასტიან სეიფერტი სნაიპერთა სიაში მხოლოდ მე-15 ადგილზეა. სამაგიეროდ, ყველას ერთად ყოველ თამაშში საშუალოდ 36 გოლი გააქვს.

ყველაზე საიმედო დაცვა „ბარსელონისაა“. კატალონიური კლუბი ყოველ მატჩში მხოლოდ 23 ბურთს უშვებს.

ბოლოს იმაზეც, რომ „ბარსელონა“ კარგა ხანს და იქნებ სამუდამოდაც, დარჩება ლიგის ყველაზე წარმატებულ კლუბად. ესპანურ გრანდს 11 გათამაშებიდან ხუთჯერ აქვს მოგებული ეს მეტად საპატიო პრიზი, დანარჩენების ანგარიშზე კი კინკილა ტიტულია.

მერვედფინალური შეხვედრები 5 და 12 დეკემბერს გაიმართება.

**გია ახალაძე**

**A ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი) 35:26 პიკ სეგედი (უნგრეთი)
ვარდარ სკოპიე (მაკედონია) 22:22 კონსტანცა (რუმინეთი)
*პიკ სეგედი — 9 ქულა; ბარსელონა — 8; ვარდარი — 4; კონსტანცა — 3*

**B ჯგუფი**

მონპელიე (საფრანგეთი) 34:29 ზაგრები (ხორვატია)
კონვერსანო 2003 (იტალია) 25:28 ZTR ზაპოროჟიე (უკრაინა)
*მონპელიე — 12; ZTR — 6; ზაგრები — 6; კონვერსანო — 0*

**C ჯგუფი**

გორენიე (სლოვენია) 29:24 გოგ გუდმე (დანია)
ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 33:26 ბრესტსკი მეშკოვო (ბელარუსი)
*ჩეხოვსკიე მედვედი — 10; გოგ გუდმე — 8; გორენიე — 4; მეშკოვო — 2*

**D ჯგუფი**

პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 29:27 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)
ვისლა (პოლონეთი) 42:26 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
*პორტლენდი — 10; პივოვარნა — 8; ცრვენა ზვეზდა — 4; ვისლა — 2*

**E ჯგუფი**

სიუდად რეალი (ესპანეთი) 36:35 კოლდინგი (დანია)
ვინტერტური (შვეიცარია) 27:29 ლიუბუშკი (ბოსნია)
*სიუდად რეალი — 12; კოლდინგი — 6; ლიუბუშკი — 6; ვინტერტური — 0*

**F ჯგუფი**

კრეტეი (საფრანგეთი) 29:31 კილი (გერმანია)
სავეჰოფი (შვედეთი) 38:32 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
*კილი — 10; სავეჰოფი — 8; ჰაფნარფიორდური, კრეტეი — 3*

**G ჯგუფი**

ფოტექსი (უნგრეთი) 29:23 ლემგო (გერმანია)
სანდფიორდი (ნორვეგია) 25:26 გრანიტასი (ლიტვა)
*ფოტექსი — 12; ლემგო — 8; გრანიტასი — 3; სანდფიორდი — 1*

**H ჯგუფი**

ბანიკ კარვინა (ჩეხეთი) 29:32 ტატრანი (სლოვაკეთი)
მეტკოვიჩ ჯამბო (ხორვატია) 29:37 ფლენსბურგი (გერმანია)
*ფლენსბურგი — 11; ტატრანი — 7; ბანიკი — 5; მეტკოვიჩი — 1*



# საკრივო სუვენირი

## ქომაგები ტაისონს სახლებს ართმევენ



ყიდის და ყიდის მაიკ ტაისონი სახლებს

**მაიკ ტაისონი,** რომელმაც ერთ დროს აღარ იცოდა რა შეეძინა და რაში დაეხარჯა ფული, იძულებულია, სულ უფრო და უფრო მოუჭიროს ქამარს. რამდენიმე თვის წინათ მსოფლიოს ექსჩემპიონის ვალების გასასტუმრებლად აუქციონზე გაიყიდა მისი სახლი, რომელიც თავის დროზე 4,5 მილიონ დოლარად შეიძინა. ახლა ასეთივე ბედი ეწია ტაისონის მეორე ფეშებელურ სახლს, რომელიც ათობით ოთახიან ორ შენობას მოიცავს.

ამ კომპლექსშია აგრეთვე ორი საცურაო აუზი, სპორტული მოედანი, რინგით აღჭურვილი საკრივო დარბაზი, 18 მანქანისთვის გათვალისწინებული ორი ავტოფარეხი, აგრეთვე ვოლიერი, სამხეცე თუ ზოოპარკი, სადაც ტაისონს ერთ დროს ორი ბენგალური ვეფხვიც ჰყავდა.

ეს სახლი თუ სასახლე 4 მილიონ დოლარად შეიძინა 31 წლის ბრიტანელმა მილიონერმა დომინიკ მაროკომ, რომელიც საინტერნეტო ბუმისას უსაშველოდ გამდიდრებულა და კრივის დიდი მოყვარულიც ყოფილა, თავის ახალ შენაძენს კი მოკრძალებულად საკრივო სუვენირს უწოდებს.

მაროკომ, რომელიც მუდმივად ბრიტანეთში ცხოვრობს, ლას ვეგასში თავისი ერთ-ერთი ვიზიტისას შეიტყო, რომ ტაისონის სახლი იყიდებაო და უმალ მისი შეძენა გადაწყვიტა.

„ამ სახლში კაცს ისტორიასთან შეხების გრძნობა გეუფლება — უფხრა მაროკომ ბრიტანულ გამოცემა Yorkshire Post Today კორესპონდენტს თავის ინტერვიუში — ამ სახლში სამუდამოდ დარჩება ამგვარი სული, რადგან იგი მაიკ ტაისონისა იყო და მომავალშიც სწორედ ამის გამო იქნება ცნობილი. ამიტომაც მე, როგორც კრივის ჭეშმარიტი მოყვარული, უბრალოდ ვალდებული ვიყავი, ეს სახლი შემეძინა.“

მაგრამ ეს კაცი, რომელიც ამ სახლს საკრივო სუვენირად მიიჩნევს, მართლაც კრივის ჭეშმარიტი მოყვარული რომ ყოფილიყო, ტაისონს დაეხმარებოდა და მას „ქუჩაში“ არ დატოვებდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**





ილია კოვალჩუკი რუსეთში მუქთ ფულს აკეთებს

# ნამუსიანები, უნამუსოები და დაბნეულები

**ამერიკა-კანადაში,** მოგეხსენებათ, ლოკაუტი მძვინვარებს და შეიძლება ითქვას, სეზონიც ჩაიშალა. ამიტომაც ნჰლ-ელები სხვა ლიგებში და კონტინენტებზე ეძებენ სამუშაოს. ამასობაში ევროპაში მოთამაშეთა რაოდენობამ უკვე 237-ს მიაღწია, ანუ ნჰლ-ს ჰოკეისტთა ერთ მესამედს!

თანაც ბოლო ხანებში ამ პროცესში სულ უფრო ერთვებიან კანადელებიც, რომლებიც თავიდან თავს არიდებდნენ ბებერ კონტინენტზე გადმობარგებას. სწორედ კანადელთა ხარჯზე იზრდება ევროპაში მოთამაშეთა რაოდენობა და, როგორც მოსალოდნელია, მოთამაშეთა ნაკადი არ შემცირდება, რაკი ევროჩემპიონატებში დამატებითი განაცხადების პერიოდი იწყება.

მაგალითად რუსეთის „აკ ბარსი“ ერთბაშად ორ ტამპელს — თანაც რა ბიჭების — ვენსან ლეკავალიესა და ბრედ რიჩარდსთან აწარმოებს მოლაპარაკებას და გავრცელებული ჭორების თანახმად, 2004 წლის თასის უძვირფასეს მოთამაშე რიჩარდს თითქოს უკვე გაუფორმებია კიდეც კონტრაქტი — სავარაუდოდ მისი გასამრჯელო კვირაში 300 ათასი დოლარი იქნება! არაა გამორიცხული, რომ ცოტა ხანში ამ პროცესში გამოცდილი და უფრო ასაკობრივი ვარსკვლავებიც ჩაერთონ, რომელნიც ჯერჯერობით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ევროპაში გამგზავრებით.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ნჰლელთა უმეტესობა ევროპაში პურს სულაც არ ჭამს მუქთად. მაგალითად, შვედეთში ვარსკვლავობენ ფლორიდელი კრისტიან ჰუსელიუსი და კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი, ფინეთში კალგარელი ვილე ნიემინენი ყოჩაღობს, ხოლო შვეიცარიაში ჯო ტორნტონი, რიკ ნეში და დანი ჰიტლი გამოირჩევიან.

არის საპირისპირო მაგალითებიც: ილია კოვალჩუკს, რომელიც ზემოხსენებული „აკ ბარსის“ ღირსებას იცავს, აგერ უკვე 12 მატჩია, გოლი არ გაუტანია.

ყველაზე ორიგინალურად კი ნიუჯერსელი სკოტ გომესი მოიქცა. იგორ ლარიონოვთან ერთად რუსეთში ჩასულმა ფორვარდმა თითქოს უკვე გააფორმა კონტრაქტი ლარიონოვის მშობლიურ კლუბ „ხიმიკთან“ და აშშ-ში ვითომდა ბარგის გადმოსაზიდად დაბრუნდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად რუსეთში დიდძალ ფულის გომესმა ალიასკის გუნდ „ეისიში“ ჯახირი არჩია, თანაც სასაცილო პირობით — მისი ხელფასია კვირაში 500 დოლარი! თუმც საქმე ისაა, რომ წარმოშობით მექსიკელი გომესი სწორედ ალიასკაშია დაბადებული.



# ჯონი უორენი

სამხრეთ სიდნეის არქიდიაკვანი დერიკ ჰოუველი წესს უგებს გარდაცვლილ ავსტრალიელ ფეხბურთელს ჯონი უორენს. ჯონი უორენი იყო იმ ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი, ქვეყნის ისტორიაში ერთადერთხელ, 1974 წელს რომ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. განსვენებულმა ძალიან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ოზებს ფეხბურთი შეჰყვარებოდათ. ის კიბოსთან ორწლიანი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა, დაკრძალვაზე კი ასობით სიდნეელი მივიდა.

# სტუმრად სამეზობლოში

ბუენოს აირესში ფეხბურთია: „ბოკა“...
მიზეზით არ ვიცით და, ამ თამაშს კი კოლუმბიური ფეხბურთის
ორი დიდი ვინმე, მეკარე რენე იგიტა ...
ასევე ეკვადორელი მაგარი ალექს აგინაგა (უკან) დასწრებიან.



# იუჯას მოგება



ბარსელონური მოტოშეჯიბრი, სან ხორდის სტადიონზე საგანგებოდ გამართულ რთულად სავალ ბილიკებზე რომ მიმდინარეობს, ფინელს მოუგია. იუჰა სალმინენმა ყველაზე კარგად გაახრიგინა თავისი მოტო ამ მორებზე.

# ცეკვა – კავკასიური

პეკინში გრძელდება ჩინეთის თასის გათამაშება ფიგურულ სრიალში. ეს მსოფლიოს დიდი პრიზის ერთ-ერთი ტურნირია. ჩვენთვის საკვირველი და მისაბაძი კი აქ ის არის, რომ ამ ფოტოზე აზერბაიჯანული წყვილია აღბეჭდილი: ევორ ლუკანინი და კრისტინ ფრეზერი დიახაც რომ კარგად ცეკვავენ თავისუფალ ცეკვას.





# ჩემპიონები

ეს მინდვრის ჰოკეის გოგონათა გუნდია — ჰოლანდიის ნაკრები, რომელმაც ჩემპიონთა თასი არგენტინულ ქალაქ როსარიოში აართვა გერმანელებს. მესამე ადგილზე მასპინძელთა გუნდი გასულა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია.
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge